



# შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან  
დალოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№16 (10.121)  
18—25 მაისი 2024 წელი  
ფასი: 60 თეთრი  
ყოველკვირული გამოცემა

## ოჯახი ჯუჯა სახელმწიფო

„ოჯახი არის ერის, სახელმწიფოს, საზოგადოების მთავარი ქვეყნისედი. იგი პატარა სახელმწიფოა, ქრისტიანული გაგებით კი - „მცირე ეკლესია“.

ილია მემორა

„სახელმწიფო შედგება განსხვავებული ნაწილებისგან, როგორც ყოველი ცოცხალი არსება შედგება სულისა და სხეულისაგან. სული შედგება აზროვნებისა და ნებისყოფისაგან, ოჯახი შედგება მამაკაცისა და ქალისაგან“ -ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღიგებებამდე წერდა ძველი ფილოსოფოსი. მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ ჰომო საპიენსმა მიაღწია უდიდეს ტექნოლოგიურ მიღწევებს, სახელმწიფოსა და ოჯახის ცნება უცვლელი დარჩა.

ოჯახი - პატარა სახელმწიფოა. ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პირველი ეტაპი ოჯახიდან იწყება. ბევრი ჯანმრთელი ოჯახი ძლიერ სახელმწიფოს ნიშნავს. ოჯახში ყალიბდება ბავშვის — მოზარდის ფიზიკური და ზნეობრივი სახე. აქ იწყებს ის აზროვნებას, სწავლობს სიყვარულს, მოთმინებას, თანაგრძობას, განიცდის სიხარულსა და მწუხარებას, ეჩვენება პასუხისმგებლობას. ამ თვისებების ჩამოყალიბება ჯანმრთელი ოჯახის პირდაპირი მოვალეობაა. საქართველოში ოდითგანვე არსებობდა ოჯახის კულტი. ოჯახში უნდა ყოფილიყო მზრუნველი ატმოსფერო, აქ სწავლობდნენ მოზარდები ქცევის კულტურას - უფროსისადმი პატივისცემას, სილამაზის სიყვარულს, სიკეთისა და ბოროტების გარჩევას... ქართული ოჯახი, ძირითადად, დიდი, ანუ მრავალთაობიანი იყო და ბავშვები მაგალითს ბებია-პაპებისგან და მშობლებისგან იღებდნენ.

რა არის ოჯახი? ამ კითხვაზე, მაგალითად, შეედი ბავშვი, დიდი ალბათობით, გიპასუხებთ „დედიკო, მამიკო და ბავშვები“. საინტერესოა, რას გიპასუხებდნენ საქართველოში? ქართველი ბავშვი, დიდი ალბათობით, გიპასუხებდათ „ბებია, ბაბუა, დედა, მამა და ბავშვები“. მრავალთაობიანი ოჯახი, რომელსაც მსოფლიოს ეკონომიკურად უფრო განვითარებული ნაწილი დღეს თითქმის აღარ იცნობს, ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში.

UNICEF-ის მიერ 2013 წელს 3000-მდე ქართული ოჯახის გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები ასახავს ამ ფენომენის მასშტაბებს. ამ მონაცემების თანახმად, ქართული ოჯახების დაახლოებით 30%-ში ცხოვრობს მხოლოდ ერთი თაობა — წყვილი ან მარტოხელა ადამიანი ბავშვების გარეშე. ოჯახების დაახლოებით 38%-ში ცხოვრობს ორი თაობა — წყვილი ან მარტოხელა ადამიანი ბავშვებით. ქართული ოჯახების 32% არის მრავალთაობიანი, რომელიც ამ სტატიაში გამოყენებული მნიშვნელობით გულისხმობს სამ ან მეტ თაობას. ვინაიდან მრავალთაობიანი ოჯახები უფრო დიდია, ქართული მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს ამგვარ ოჯახებში. სხვა ქვეყნებთან შედარებით, ეს შთამბეჭდავი რიცხვია. 2008 წელს აშშ-ის მოსახლეობის მხოლოდ 16% ცხოვრობდა სამ ან მეტთაობიან ოჯახებში, თეთრკანიანი მოსახლეობის მხოლოდ 13% ცხოვრობდა მრავალთაობიან ოჯახში (Pew Research Center-ის მონაცემების მიხედვით).

### აკომოიკა თუ კულტურა?

ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ ამ მოვლენას ქართული კულტურა განაპირობებს. განა ქართული ტრადიციები არ გულისხმობს ბებია-ბაბუებზე ზრუნვას,

მათი საჭიროებების უზრუნველყოფასა და თანადგომას? საქართველოში მათ არავინ უშვებს მოხუცთა თავშესაფრებში. ალბათ, ასეც არის, თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს საკმაოდ იძულებითი მოვლენაა, რომლის რეალური მამოძრავებელი ძალა ეკონომიკური ხასიათისაა.

პირველი, რაც უნდა აღვნიშნოთ, ის არის, რომ ერთ სულზე დიდ ოჯახში ცხოვრება ბევრად იაფია. მრავალთაობიანი ოჯახი კარგი საშუალებაა, გავაცნობიეროთ „მასშტაბის ეკონომია“, როგორც მას ეკონომისტები უწოდებენ. ოჯახის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, საოჯახო მონეობილობები, ავეჯი თუ სატრანსპორტო საშუალებები უფრო მეტ ადამიანს ემსახურება, თუ ბებია-ბაბუები ცალკე ცხოვრობენ,

ბიან ოჯახებში მცხოვრებ ამერიკელთა რაოდენობა 2.6 მილიონით მეტი იყო 2007 წელთან შედარებით. აქედან ჩანს, თითქოს 2008 წელს, როდესაც ეკონომიკურმა კრიზისმა პიკს მიაღწია, ეკონომიკური პირობების გაუარესებას ადამიანებმა მრავალთაობიანი ოჯახების შექმნით უპასუხეს. ამგვარად ცხოვრება უფრო იაფი გახდა.

### ასაკოვნები და ახალგაზრდები ერთ სახლში

ის, რომ უკეთესი ეკონომიკური პირობების შემთხვევაში, ადამიანები მცირე ოჯახებზე ცხოვრებას არჩევენ, არ ნიშნავს, რომ ეს უკეთესია. განა იდეალური არ არის, რომ ერთ ჭერქვეშ ბევრი თაობა ცხოვრობდეს?

მართლაც, ასაკოვნებს შეუძლიათ სა-



გადასახდელია არა მხოლოდ მათი ბინის ქირა, არამედ მანქანის, ტელევიზორისა თუ სარეცხი მანქანის ხარჯები. შვილებთან ერთად ცხოვრების შემთხვევაში კი, ამ ყველაფრის ყიდვა ერთხელ არის საჭირო, ხარჯები კი იყოფა.

ჩვენი შემდეგი არგუმენტი ეფუძნება ფაქტს, რომ ერთ სულზე საშუალო შემოსავალი ერთთაობიან ოჯახში 60%, ორთაობიანში კი 20%-ით მაღალია მრავალთაობიან ოჯახთან შედარებით (UNICEF-ის მონაცემები). ეს ფაქტი გარკვეულ მიზეზშედეგობრიობაზე მიუთითებს. თუ ადამიანები მართლაც ნებაყოფლობით ქმნიან მრავალთაობიან ოჯახებს, მაშინ ჩვენ საპირისპირო შედეგს უნდა ვხედავდეთ — ერთ სულზე ბევრად მეტი ფული. ვინაიდან ასე არ ხდება, შეგვიძლია დავაკენათ, რომ შედარებით ღარიბი ოჯახების რეაქცია საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობაზე არის სწორედ ერთად ცხოვრება.

რიცხვები გვიჩვენებს, რომ ქართველები ქმნიან მცირე ოჯახებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის საშუალება აქვთ. მრავალთაობიან ოჯახებში ცხოვრებას მათ საკუთარი მწირი ეკონომიკური რესურსები აიძულებთ. რასაც ისინი მასშტაბის ეკონომიკის იძულებით გამოყენებამდე მიჰყავს.

დაკვირვება, რომ ადამიანები, თუ ნება დართავენ, ირჩევენ, არ იცხოვრონ მრავალთაობიან ოჯახებში, სხვა ქვეყნებზეც ვრცელდება. Pew მონაცემების თანახმად, 2008 წელს მრავალთაობიანი

სიბრძნე გაუზიარონ ახალგაზრდებს. ითვლება, რომ მთავარი მიზეზი, თუ რატომ ცხოვრობენ ადამიანები ამდენი ხანი საკუთარი რეპროდუქციული ასაკის დასრულების შემდეგ, არის ხანდაზმულთა როლი ახალგაზრდა თაობისთვის მნიშვნელოვანი ცოდნის გადაცემაში. სამყაროში, სადაც არ არსებობდა ბიბლიოთეკები ან ციფრული მონაცემების სივრცე, ბებია-ბაბუები ფლობდნენ ფასდაუდებელ ცოდნას იმის შესახებ, თუ რომელი მცენარე იჭმევს, როგორ იკურნება დაავადებები, როგორ მოეუაროთ ჭრილობას, როგორ დავამზადოთ გარკვეული ხელსაწყოები და ა.შ.

იმ დროში, ბებია-ბაბუები თამაშობდნენ გადაწყვეტ როლს ბავშვების გაზრდასა და აღზრდაში — „ისინი იყვნენ ქვის ხანის ძიძები“. დღევანდელ საქართველოში ეს პასუხისმგებლობა საკმაოდ ხშირად ეკისრებათ ბებია-ბაბუებს. საქართველოში ხშირად გაიგებთ „მე ბებია-ბაბუამ გამზარდა“, რადგან ბევრ ოჯახში მშობლები მუშაობენ, ბებია-ბაბუები კი ბავშვებს ზრდიან. სანაცვლოდ, ახალგაზრდა თაობები ეხმარებიან ბებია-ბაბუებს ყოველდღიური ცხოვრების გახალისებაში. ვილაცისთვის ეს სრულყოფილი სიმბიოზია — ასაკოვნები ეხმარებიან თავიანთ შვილებს, იზრუნონ ოჯახზე და ამავდროულად დარწმუნდნენ, რომ მათზეც ვიღაც ზრუნავს.

უფრო მეტიც, მრავალთაობიანი ოჯახები გარკვეულწილად აკომპენსირებენ ცუდად განვითარებულ სახელმწიფო

პენსიის სისტემასა და დანაზოგის კულტურის ნაკლებობას. ქართველები საკუთარ საპენსიო ასაკზე ზრუნვის ნაცვლად, საკუთარ ფულს შვილების განათლებაში დებენ, რადგან ისინი არიან მათი ყველაზე ძვირფასი ქონება პენსიაზე გასვლის შემდეგ.

### ოჯახი და თანამედროვეობა

ოცდამეერთე საუკუნეში ოჯახის ცნება უცვლელია, მაგრამ დრომ მიდგომები შეცვალა. ბევრ ახალგაზრდას ურჩევია, რომ დამოუკიდებლად იცხოვროს და საკუთარი ოჯახი თავად მართოს, მშობლებისგან დამოუკიდებლად. ზოგჯერ ეს მიდგომა წინა თაობის ნარმოზადგენელთა უკმაყოფილებას იწვევს, ზოგჯერ ამ ფაქტორის გამო ახალგაზრდა ოჯახები იწვრება. მერე იწყება გაუთავებელი მსჯელობა და მტყუალ-მართლის გარკვევა, ნათესავ-ახლობელთა ჩართულობით იმართება ოჯახური სასამართლოები... ამ გაუთავებელ პროცესს ეწირებიან ბავშვები, რომელთაც დედისა და მამის სითბო და ყურადღება მეტად სჭირდებათ, ვიდრე კონფლიქტში მონაწილე მხარეთა სამართლიანობის დადგენა.

თაობებს შორის თუ ჰარმონია არსებობს, მაშინ პრობლემაც არ არსებობს. თუმცა რა ხდება მაშინ, თუ არსებობს დაპირისპირებები და კამათი? ბაბუა შეიძლება ფიქრობდეს, რომ ჯერ კიდევ ის არის „ოჯახის თავი“, თუნდაც ეკონომიკურად შეუსაბამო იყოს და ოჯახს მისი შვილი არჩენდეს. შეიძლება, დედა-მთელი ვერ ეწყობა რძალს (რაც, როგორც ამბობენ, ხშირად ხდება), ასაკოვან ადამიანებს ზოგჯერ უწინდებია ქცევითი თავისებურებები, რაც მათ გარშემოცოფებს აღიზიანებს. ამგვარ ვითარებაში ყველა მხარისთვის უკეთესია, თუ ერთ ჭერქვეშ არ იცხოვრობენ. თუმცა, თუ მცირე ოჯახებზე ცხოვრების არჩევანი არ არსებობს, ცხოვრება ძალიან უსიამოვნო ხდება.

დაბოლოს, ახალგაზრდა ქართველებს შეიძლება ბევრად გაუჭირდეთ დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბება, თუ მთელი ცხოვრება მშობლებთან ერთად ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, მშობლები იცავენ შვილებს შეცდომებისგან, მაგრამ ზოგი შეცდომის დაშვება შეიძლება სასარგებლოც იყოს დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებისთვის.

ოჯახის შიგნით ადამიანების განსხვავებული ასაკი, სქესი, გენდერული თუ სექსუალური იდენტობა განაპირობებს მათ განსხვავებულ გამოცდილებებს და თუკი სიყვარულით სავსე ოჯახზე გვინდა საუბარი, ესე იგი განსხვავებულ გამოცდილებათა თანაცხოვრების გზებზეც უნდა ვისაუბროთ. თუმცა, სიყვარული ვერ იქნება ერთადერთი გარანტი ოჯახური იდენტობისა. რადგან ოჯახებში მიმდინარე თითქმის ყველა პროცესი დამოკიდებულია და განსაზღვრული მის გარეთ არსებული კულტურული, სოციალური, ეკონომიკური პირობებით და თუკი ოჯახის სიმტკიცის დაცვა რომელიმე ინსტიტუტისა თუ ადამიანთა ჯგუფის მიზნებში შედის, უპირაინი იქნება მათ ოჯახების სოციალურ კეთილდღეობაზე, ოჯახებს შიგნით სხვადასხვაგვარი უთანასწორობის ნარმოზების მიზეზებსა და მათი აღმოფხვრის გზებზე ისაუბროთ.

ოჯახში ის ფუნდამენტური ფასეულობა, რომლის სიჯანსაღეზეც დგას ღირსეული ძველნი და თითოეული მოქალაქის სიმტკიცე. გადნიერი ოჯახი ძლიერი სახელმწიფოს გარანტია.

მომავლად  
ინგა შიოლაშვილი



### „მაქსიმალურად უნდა გავუფრთხილდე ჩვენს ღირებულებებსა და ტრადიციებს“

„მაქსიმალურად უნდა გავუფრთხილდე ჩვენს ფასეულობებს, ღირებულებებსა და ტრადიციებს, რომლის გარეშეც ქვეყნის განვითარების გზა ვერ იქნება წარმატებული“, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა შურნალისტებს ანკარაში ოჯახის სინმინდის დღესთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, 17 მაისი უქმე დღედ გამოცხადდა.

„ჩვენ მოგვმართა საპატრიარქომ, გამოვაცხადეთ ეს უქმე დღედ. მთავარი გზავნილი არის ის, რომ მაქსიმალურად უნდა გავუფრთხილდე ჩვენს ფასეულობებს, ღირებულებებსა და ტრადი-

ციებს, რომლის გარეშეც ქვეყნის განვითარების გზა ვერ იქნება წარმატებული. თუ არ გაქვს ძლიერი ფესვები, რა თქმა უნდა, წინ ვერ წახვალ. ხშირად ისე წარმოაჩენენ, თითქოს პროგრესულობა ნიშნავს ფესვების ჩაჭრას, რაც ასე ვერ იქნება. სწორედ, მყარ ფესვებზე დგომის შემთხვევაში, შეიძლება მივალნიოთ დიდ შედეგებს და დარწმუნებული ვარ, ასე იქნება. ჩვენ ბოლომდე გავუფრთხილდებით ჩვენს ფასეულობებსა და ღირებულებებს და სწორედ, ფასეულობებითა და ღირებულებებით ვივლით წინ, მათ შორის წინ ვეროპისკენ“, - განაცხადა პრემიერმა.

### „საწვავი 10-15 თეთრით გაიფლება“

საწვავი 10-15 თეთრით გაიფლება. ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ „სენტა ოილის“ დამფუძნებელი ესაუბრა. ზაალ იაკობიძის თქმით, ბოლო 2 კვირაა მსოფლიო ბაზარზე „პლატისის“ მიხედვით, ფასი მცირდება, რაც ადგილობრივ საბითუმო ბაზარზე უკვე აისახა, საცალო გაყიდვებში კი მომდევნო 2 კვირაში აისახება.

ცნობისთვის, საქართველოში ბოლო ერთი თვის განმავლობაში ბენზინის ღირებულება 6-დან 20 თეთრამდე გაიზარდა. ფასის ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, სავარაუდოდ, „პლატისის“ გაძვირება გახდა, კერძოდ, აპრილში „პლატისის“ ფასი ტონა საწვავზე 927 დოლარს შეადგენდა, მაშინ როცა მარტში 881.1 დოლარი ღირდა.

„საწვავის ფასი „პლატისის“ მიხედვით, 1-თვიან ფრილში შეიძლება გაზრდილი იყოს, მაგრამ ბოლო 2 კვირაა იფლება. შესაბამისად, ფასების კლება საქართველოშიც უკვე დაწყებულია. იქიდან გამომდინარე რომ ეს ახალი ამბავია, ეს ძირი-

თადად შეეხო საბითუმო ბაზარს, სადაც დაახლოებით 10-15 თეთრით არის გაიფლებული. რაც შეეხება საცალო გაყიდვებს, აქაც უკვე სადაც 2 კვირაში აისახება და საწვავი 10-15 თეთრით გაიფლება“, - ამბობს ზაალ იაკობიძე.

სულ ცოტახნის წინ რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქვეყანა საწვავის ექსპორტზე შეზღუდვას დროებით მოხსნის. ამასთან, როგორც ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ტრეიდერმა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, არის საუბრები, რომ საქართველოს შესაძლებლობა მიეცემა რუსული არასანქცირებული ქარხნებიდან საწვავი შემოიტანოს. აღნიშნულს ადასტურებს ზაალ იაკობიძეც, თუმცა ამბობს, რომ ეს მხოლოდ საუბრების დონეზეა და დოკუმენტურად დადასტურებული არ არის.

„არის მსგავსი საუბრები, მაგრამ დოკუმენტურად დასაბუთებული არ არის. აქამდეც იყო მსგავსი ვერსიები, თუმცა, რეალობაში რამდენად მოხდება, რთული სათქმელია“, - აღნიშნავს ზაალ იაკობიძე.

### ბაქოს აეროპორტის პოპულარულ მიმართულებებში თბილისი მეორე ქალაქია

ბაქოს შვიდარ ალიევის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის პირველი 4 თვის პოპულარულ მიმართულებებს შორის თბილისი მეორე ადგილზეა. ინფორმაცია აეროპორტის ვებგვერდზე ვრცელდება.

კერძოდ, პოპულარული საერთაშორისო მიმართულებების ქალაქებიდან თბილისი სტამბოლს მოსდევს და თურქეთის სხვა, ასევე, რუსეთის, გაერთიანებული სამეორეებისა და სხვა ქვეყნების ქალაქებს უსწრებს.

ქალაქების ტოპ 10-ეული, სადაც მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში ბაქოს აეროპორტიდან ყველაზე მეტი რეისი შესრულდა: **სტამბოლი (თურქეთი), თბილისი (საქართველო), დუბაი (საემიროები), აბუ-დაბი (საემიროები), მოსკოვი (რუსეთი), ანკარა (თურქეთი), სანკტ-პეტერბურგი (რუსეთი), დელი (ინდოეთი), დოჰა (ყატარი), შარჯა (საემიროები).**

ამ მარშრუტებზე 1,178 მილიონზე მეტი მგზავრი გადაიყვანეს ავიაკომპანიებმა, როგორც არის AZAL, Turkish

Airlines, Ajet, Aeroflot, Rossiya Airlines, Air Arabia, Wizz Air Abu Dhabi, FlyDubai, Georgian Wings, Indigo, Qatar Airways და სხვ. ამასთან, ბაქოს აეროპორტიდან რეისების მქონე ავიაკომპანიების რაოდენობა 29-დან 34-მდე გაიზარდა, საიდანაც 14 დაბალბიუჯეტური ავიაკომპანიაა. ამ ავიაკომპანიებმა მიმდინარე წლის პირველ 4 თვეში 8,494 რეისი შეასრულეს.

რაც შეეხება მგზავრთა რაოდენობას, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მიმდინარე წლის პირველ 4 თვეში ბაქოს აეროპორტი 41,3%-ით მეტ, ანუ 2 მილიონზე მეტ მგზავრს მოემსახურა. მხოლოდ აპრილში აეროპორტი 570 ათას მგზავრს მოემსახურა, რაც შარშანდელ აპრილზე 50%-ით მეტია, როცა რაოდენობა 379 ათას მგზავრს შეადგენდა.

ამასთან, გაიზარდა ტრანზიტული მგზავრების რაოდენობაც. კერძოდ, გასული წლის აპრილთან შედარებით ტრანზიტულ მგზავრთა რაოდენობა 85%-ით გაიზარდა და 28 ათას ადამიანს მიაღწია.

### სპექტაკლი ზემო მაჩხაანში



ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში დედოფლისწყაროს ახალი იდეის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი პროექტი განხორციელდა. მოსწავლეების მიერ შედგენილი პროექტი სპექტაკლის მომზადებას ითვალისწინებდა. პროექტის ხელმძღვანელია ზურაბ უსენაშვილი, ხოლო იდეის ავტორი ანა ჯამასიშვილი.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა კლუბი, რომელიც მუშაობს სპექტაკლზე სახელწოდებით „გაუმარჯოს ყველას“.

სპექტაკლში მონაწილეობს სულ 10 მოსწავლე (VII-XII კლასი). მოსწავლეებმა დაფინანსებული თანხით შეიძინეს თეატრისთვის საჭირო ინვენტარი, მოაწყეს სივრცე, სადაც გაიმართება აღნიშნული წარმოდგენა 15 მაისს.

მიმდინარე წლის თებერვალში „ახალ-გაზრდული იდეის“ კომიტეტმა 6 ახალი საპროექტო განაცხადი მიიღო, რომელთაგან საუკეთესოები დააფინანსა. ისინი სწორედ ახლა უნდა განხორციელდეს.

### თელავში ოჯახის სიწმინდის დღე მასშტაბურად აღინიშნა

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის, გიორგი ალადაშვილის კოორდინირებითა და რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტის ერთობლივი ორგანიზებით თელავში, ოჯახის სინმინდის დღე მასშტაბურად აღინიშნა.

თელავის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში სასულიერო პირებმა პარაკლისი აღავლინეს. პარაკლისს კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი ოჯახთან, საკანონმდებლო, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მოსახლეობასთან ერთად დაესწრო.

ღვთისმშობლის ეკლესიიდან თელავის სახელმწიფო თეატრის მიმართულებით გაიმართა მსვლელობა, სადაც შეკრებილ

მოსახლეობას სასულიერო პირებმა, ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლებმა სიტყვით მიმართეს.

„ოჯახი ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნდამენტია და მისი სიმტკიცის დაცვა ჩვენთვის ღირებული და მნიშვნელოვანია. კახეთიდან, ყველას გილოცავთ ოჯახის სინმინდის დღეს!“ - აღნიშნა გიორგი ალადაშვილმა.

17 მაისი - ოჯახის სინმინდის და მშობლების პატივისცემის დღე, მთავრობის დადგენილებით, ნელს, უქმე დღედ არის გამოცხადებული. ოჯახის სინმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ინიციატივით 2014 წელს დაწესდა.



### საქართველოსა და თურქეთს შორის ენერჯეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ენერჯეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთ-გაგების მემორანდუმი გაფორმდა. ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, დოკუმენტი, რომელსაც თურქეთის რესპუბლიკაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში მოეწერა ხელი, ხელს შეუწყობს საქართველოსა და თურქეთს შორის არსებულ პარტნიორობის გაძლიერებასა და გაღრმავებას.

„მემორანდუმი ორ ქვეყანას მისცემს საშუალებას, ერთმანეთს გაუზიარონ ცოდნა და გამოცდილება ისეთი მიმარ-

თულებებით, როგორცაა: განახლება-დი ენერჯეტიკი, ენერგოეფექტურობა, ინფრასტრუქტურის გაციფრულება, ნახშირბადის ემისიების შემცირება და ა.შ.

ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და თურქეთის რესპუბლიკის ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ალფარსლან ბაირაქთარმა მოაწერეს ხელი. ხელმოწერის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი დაესწრნენ“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

### „ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ უფრო მეტად განვითარება“

ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ უფრო მეტად განვითარება თურქეთსა და საქართველოს შორის, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ძალიან საინტერესო შეხვედრები გაიმართა და საუბარი შეეხო თანამშრომლობის აბსოლუტურად ყველა ასპექტს.

„დასრულდა ჩვენი ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტი თურქეთში. რა თქმა უნდა, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ უფრო მეტად განვითარება თურქეთსა და

საქართველოს შორის და ბუნებრივია, ეს ვიზიტი თავის წვლილს შეიტანს ამ საქმეში. ძალიან საინტერესო შეხვედრა გვექონდა ჩვენს კოლეგებთან, განსაკუთრებით პრეზიდენტ ერდოღანთან. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ეს ვიზიტი თავის წვლილს შეიტანს ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებაში.

ჩვენ გვქონდა საუბარი ჩვენი თანამშრომლობის აბსოლუტურად ყველა ასპექტზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სფეროებში თანამშრომლობაზე. ყველაფერი გაკეთდება ჩვენი მეგობრობის, პარტნიორობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებისთვის“, - განაცხადა პრემიერმა.

### კახეთის გზატკეცილის მშენებლობა გრძელდება

კახეთის მიმართულება, რომელიც დედაქალაქს აღმოსავლეთ რეგიონთან აკავშირებს, ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ტურისტული, ისე სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით - „საქართველოს გზები“ კახეთის მიმართულებით დაგეგმილი პროექტების შესახებ წერს.

აღნიშნული გზის განახლებასა და გაუმჯობესებაზე მუშაობა 2021 წლიდან დაიწყო. სამუშაოების დასრულების შემდეგ გაიზრდება გზის გამტარუნარიანობა

და უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოება.

ამ ეტაპზე კახეთის მიმართულებით ოთხი მნიშვნელოვანი პროექტის მშენებლობა მიმდინარეობს:

- ვაზიანი-საგარეჯოს მონაკვეთი (ლოტი 1);
- საგარეჯოს შემოვლითი გზა (ლოტი 2);
- საგარეჯო-ზადაიურის მონაკვეთი (ლოტი 3);
- ბაკურციხე-წნორის შემოვლითი გზა;



# „ჩვენ ერთად გართ მთავარია“

„ყოველი კარგი ნიგნი თვალნინ გვიშლის ახალ სამყაროს“ - ამბობდა ჯორდანო ბრუნო. ვიქტორ ჰიუგომ კი დაწერა, რომ „ცივი მეგობარია ნიგნი, მაგრამ ერთგული“. ჩვენმა ძვირფასმა გოდერძი ჩოხელმა კი დაგვიბარა, რომ „დედამინა არის მზითა და მთვარით განათებული დიდი ნიგნი, სადაც უამრავი ცოცხალი მოთხრობა დადის“. უამრავი ასეთი ნაფიქრალის გახსენება შეიძლება, რომელიც კიდევ უფრო სიღრმისეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ნიგნზე, კითხვის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე, მკითხველისა და ნიგნის ურთიერთობაზე.

გვსმენია „კარგი ნიგნი - ეს არის საჩუქარი, რომელიც ავტორმა უანდერძა კაცობრიობას“. 15 მაისს, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, სწორედ ამ საგანძურის მცველების, დედოფლისწყაროს საბიბლიოთეკო გაერთიანების თანამშრომლების პროფესიული დღე აღინიშნა. ღონისძიება „შეხვედრა კოლეგებთან“ საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში გაიმართა.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა, მომავალი თაობის აღზრდის საქმეში ნიგნისა და ბიბლიოთეკის მნიშვნელობაზე, თანამშრომლების მიერ

განეულ თავდაუზოგავ შრომაზე ისაუბრა, რომელთაგან უმეტესობა ამავდარი მუშაკია.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, მალხაზ მერაბიშვილმა, ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს განეული შრომისა და მკითხველთან უშუალო და თბილი დამოკიდებულებისთვის, ხოლო ამავდარ ბიბლიოთეკარს ქ-ნ ცეცელი ჯანაშვილს - „ბავშვთა შორის მუშაობის დარგში“ განეული შრომისთვის მადლობის სიგელი გადასცა.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა დოდო ხუნაშვილმა ისაუბრა ბავშვებში ნიგნის პოპულარიზაციის აუცილებლობაზე, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ნიგნის მუდმივ „დაპირისპირებაზე“. ამავდროულად, მადლობა გადაუხადა თანამშრომლებს სასიამოვნო საღამოსთვის, განეული შრომისთვის და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

ღონისძიება მხატვრულად გააფორმა ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის აღსაზრდელებმა.

შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, სპორტის



სა და ახალგაზრდობის ცენტრის, ადგილობრივი პრესის, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის სკოლის თანამშრომლები.

2024 წლის საბიბლიოთეკო კვირეული 22 აპრილიდან -22 მაისამდე მიმდინარეობს. ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

\***მირზანი - „ჯინების თაობა“ და „ვეფხისტყაოსანი“**, 15 აპრილი;

\***ნიგნის ჩუქების დღე, ნიგნის საერთაშორისო დღე - ყველა ბიბლიოთეკა**, 23 აპრილი;

\***ოზანი- მამული, ენა სარწმუნოება - ლიტერატურული დღეა**, 24 აპრილი;

\***ზემო მაჩხანის გივი ჭიჭინაძის ნიგნის „ვინ აშენებს ივერიას“ პრეზენტაცია**, 26 აპრილი;

\***გამარჯვება - შეხვედრა ახალგაზრდა პოეტ თორნიკე ნაროზაულთან**, 27 აპრილი;

\***სორნაბუჯი- საუბარი მკითხველთა ჩვენ გვიყვარს საქართველო/შეხვედრა ბოშებთან** -30 აპრილი;

\***სამთაყარო - ლიტერატურული დღე-ტიციანი**, 7 მაისი;

\***სამრეკლო-საბავშვო დღე-რაფიელ ერისთავი**, 8 მაისი;

\***საბათლო - ბავშვების საყვარელი მწერლები-რევაზ ინანიშვილი და ოტია იოსელიანი**, 15 მაისი;

\***არხილოსკალო - ქართული ენა-ღმერთების ენა**, 15 მაისი;

\***ზემო ქედი - რუსთაველის დღე-**

**პოეზიის საღამო, 15 მაისი;**  
\***მუნიციპალური ბიბლიოთეკა - შეხვედრა კოლეგებთან, 15 მაისი;**

\***ქვემო ქედი - ნიგნის პრეზენტაცია, 16 მაისი;**

ყველა მკითხველს ნიგნთან ურთიერთობის განსხვავებული გამოცდილება აქვს. შესაძლოა, ერთ ნაწარმოებს რამდენიმე ადამიანი ერთდროულად კითხულობდეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, თუმცა, მათ მიერ განცდილი და, მოგვიანებით, ნიგნთან დაკავშირებული მოგონებებიც ერთმანეთისგან განსხვავებული იყოს. შესაბამისად, შეკითხვაზე, რას ნიშნავს ლიტერატურა ადამიანებისთვის - ყველა სხვადასხვაგვარად პასუხობს. ზოგისთვის ეს მეგობრის შეძენაა, ზოგისთვის საზრდო, „რომელიც უნდა მოინელო“, ზოგიც ათასჯერ ცხოვრების ან დროში მოგზაურობის საშუალებად მიიჩნევს. ბიბლიოთეკა და მისი თანამშრომლები კი, ამ სამყაროს მცველებად და უცვლელ მეგობრებად გვევლინებიან, რომლებსაც დაფასება, მსარდაჭერა და გვერდში დგომა სჭირდებათ.

გაზეთ „მირაქის“ რედაქცია მადლობას უხდის მათ განეული შრომისთვის, წარმატებები და მკითხველთა სიმრავლე გვისურვებია მათთვის.

შუშუნა ყანაშვილი  
ნათუნა ბანაშვილი



## ფეხბურთში „ენკელას“ თასი არხილოსკალომ მოიგო

მიმდინარე წლის აპრილის თვიდან დაიწყო გაფეხბურთის ტურნირი ფეხბურთში საჯარო სკოლების სპორტსმენებს შორის „ენკელას“ თასის მოსაპოვებლად.

„შეიძლება ზოგიერთებს გაუკვირდეთ, მაგრამ საქართველოს საფეხბურთო ნაკრების დიდმა წარმატებამ ჩვენს სპორტსმენებსაც მისცა სტიმული, მიეღოთ მონაწილეობა ამ ტურნირში. ყველა საჯარო სკოლამ იაქტიურა. სულ 15 საჯარო სკოლის ნორჩმა ფეხბურთელებმა მიიღეს მონაწილეობა თასის გათამაშებაში. შეჯიბრი ჩატარდა ზონების მიხედვით, ხოლო 11 მაისს გაიმართა ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე. მონაწილეობდნენ ზემო მაჩხანის, ქალაქ დედოფლისწყაროს №1, №2 და არხილოსკალოს საჯარო სკოლების საფეხბურთო ნაკრებები.

ყველა მათგანი დიდი მონდომებით იბრძოდა თასის მოსაპოვებლად. დამლეული და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ფინალში გავიდნენ არხილოსკალოსა და ზემო მაჩხანის საჯარო სკოლების გუნდები. ფინალურ მატჩში გაიმარჯვა არხილოსკალოს საფეხბურთო ნაკრებმა და დამსახურებული თასიც გადაეცა.

საფეხბურთო ტურნირის სულის ჩამდგმელია **ზურაბ ჩალაბაშვილი**. თასის „ენკელას“ მოსაპოვებლად შეჯიბრი ტრადიციულია და მას 1972



წელს ჩაეყარა საფუძველი.

I შეხვედრა - ნახევარფინალში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ზემო მაჩხანისა და დედოფლისწყაროს №1 სკოლის გუნდები. გაიმარჯვა მაჩხანის გუნდმა - 2-2. პენალტების სერია - 5:3.

II შეხვედრა - ნახევარფინალში არხილოსკალოს და დედოფლისწყაროს №2 სკოლის გუნდები იბრძოდნენ. გაიმარჯვა არხილოსკალოს გუნდმა - 6:1. აქედან 4 გოლი **ბექა აპირტიძემ** გაიტანა, 2 გოლი — **გოგა კედელაშვილმა**.

ფინალური III შეხვედრა დაძაბულად მიმდინარეობდა არხილოსკალოს და მაჩხანის სკოლის გუნდებს შორის. 5:2 — გაიმარჯვა არხილოსკალოს გუნდმა.

აქედან მონაწილეების კარში 3 გოლი — **ნიკა ოზანიძემ**, ერთი ბურთი ბექა კვიციანიმ, ერთიც - გოგა კედელაშვილმა გაიტანეს.

„გუნდის წევრების თავდაუზოგავი შრომის და მონდომების შედეგადაა ეს გამარჯვება. ხოლო მეკარის **დავით სუზარაშვილის** შემართება, მის მიერ აღებული გოლები მომავალში მოტივაციურია თითოეული გუნდის წევრებისთვის და ახალი გამარჯვების საწინდარი. სკოლის დირექცია და სრულიად სკოლის თანამშრომლები ულოცავენ ამ გამარჯვებას სკოლის გუნდს, მოსწავლეებს, მშობლებს, სოფელს და უსურვებს კიდევ ბევრ წარმატებას და წინსვლას,“ - აცხადებენ არხილოსკალოს სკოლაში.

გამარჯვებული გუნდი თამაშობდა მოსწავლეთა შემდეგი შემადგენლობით:

X კლასი - დავით ხუზარაშვილი, ნიკა ოზანიძე, ლუკა ძამაშვილი.

XI კლასი - ლუკა სისაური, გოგა კედელაშვილი.

XII კლასი - აჩიკო ქავთარაძე, ბაჩო ყაბანაშვილი, ნიკა ნიკაური, გიორგი სისაური, ბექა კვიციანი.

არხილოსკალოს საჯარო სკოლის გუნდს დედოფლისწყაროს სტადიონზე გულშემატკივრობდა სკოლის დირექტორის მოადგილე ქალბატონი ციცინო ჯავახიძე და გუნდის წევრების მეგობრები და მშობლები.

## რეგიონულ ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზეს



ჩატარდა კახეთის რეგიონული ჩემპიონატი კიკბოქსინგში WTK ფედერაციის ორგანიზებით. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ზემო მაჩხანის გუნდი „ზაქები“. ნორჩმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს და 10 საპრიზო ადგილი მოიპოვეს, მათ შორის 4 პირველი და 6 მეორე ადგილი.

**პი, გამარჯვებული სპორტსმენები:**

შეჯიბრის ჩემპიონები გახდნენ:

**ნიკა ჯაბაშვილი (70 კგ. წონითი კატეგორია); რატი დაუთაშვილი (35 კგ); ნიკოლოზ გოგაშვილი(36 კგ.); ნიკოლოზ ლეკაშვილი (68 კგ).**

**მეორე ადგილზე გავიდნენ: საბა ნატროშვილი (32 კგ); ზურაბ ძნელაშვილი(38 კგ);მიხეილ ზაქარაშვილი(65 კგ); გონა ჩუთლაშვილი(61 კგ); ვიტალი ცისკაძე (47 კგ); ლევან რობტაშვილი (35 კგ).**

„ზაქების“ მწვრთნელია გენადი ნატროშვილი.



# როგორ ანადგურებენ „განძეხი მონადირეები“ ქვეყნის ისტორიას

**შავი, იგივე უპაწონო არქეოლოგიის განვითარება საქართველოში 90-იანი წლებიდან იწყება. იმ პროცესების პარალელურად, რომელთაც გვრჩევს და სილატაკა გამოიწვიოს, „იპოვი სიგელი“ მოგვითხრობს ისტორიულ ძეგლებს შინაქიდან, გადათხარას და მოქიანის უძველესი ძეგლის გატანა თურქეთში დაიწყო.**

ამ წლებში ჩვენი ისტორიული სიმდიდრე სხვა ნივთებთან ერთად მიხერულ ფასად იყიდებოდა, მათზე მოთხოვნა კი განუზომელი იყო. მოგვიანებით, ისტორიული ექსპონატები ევროპის ქვეყნებშიც გავიდა, სადაც მათი კვალი დაიკარგა. თუმცა ამ დროიდან მოყოლებული, შავ არქეოლოგიასთან დაკავშირებული კანონის დარღვევები არავის უცდია. მართალია, ამ ეტაპზე ქვეყნიდან ძვირფასი ლითონების გატანა კონტროლდება, თუმცა შეუძლებელია შემონახვა, რა რაოდენობით მოხვდა ისტორიული ექსპონატი მოსახლეობაში, მათი გადადნობა ან სამკაულების სახით გასხვისება, მით უფრო, რომ შავი არქეოლოგიების მუშაობის არეალი მკვეთრად გაფართოვდა, ექსპონატების მოძიება კი გააძვირდა. უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა მეტალოდეტექტორები, რომლებიც ძვირფას ლითონებს ნიადაგის ღრმა ფენებშიც აფიქსირებენ. მათი შეძენა უამრავ მარკეტებს და ონლაინმარკეტში შეიძლება, მათ შორის, სახლში მიწოდების სერვისით. ამ დღეებში ცნობილია არქეოლოგმა გოდერძი ნარიმანიშვილმა ნალკის წყალსაცავის ფოტოები გამოაქვეყნა, სადაც დანული წყალსაცავის არეალი მძიმე ტექნიკით გადათხარის, დაახლოებით 4500-წლოვანი ყორღანები ჩანს. როგორც ცნობილია, თრიალეთის ყორღანების ნაწილი ნალკის წყალსაცავის აშენებისას წყალში მოყვა და მხოლოდ პერიოდულად ჩნდება მაშინ, როდესაც წყალსაცავის დონე დაბლა იწევს. სწორედ აქ, თრიალეთის ყორღანებში აღმოჩენილი ოქროს თასებითა თუ სხვა ექსპონატებით გაითქვა სახელი უძველესმა ქართულმა კულტურამ მთელ მსოფლიოში. აღმოაჩინეს და გაიტაცეს თუ არა ძვირფასი ნაკეთობები წყალსაცავის ტერიტორიიდან, სამწუხაროდ, ამას ვერავინ გეტყვით. აპრილიდან კი ნალკის წყალსაცავი კვლავ შეივსება

და ტრაქტორებით გადავლილი ისტორია ისევ წყლით დაიფარება.

**„ღროა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე არქეოლოგიური ძეგლებით ძიება კანონით დარღვეულია“.**

გოდერძი ნარიმანიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი: - 1999 წლიდან ყოველ წელს მივდივარ წლისაგან დაცლილი წყალსაცავის დასათვალიერებლად. მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში, წყალსაცავის აშენებამდე, ამ ტერიტორიაზე არაერთი ყორღანი გაითხარა. იქ აღმოჩენილი მასალები საქართველოს ეროვნული მუზეუმის მუდმივ გამოფენაზე შეგიძლიათ იხილოთ. როდესაც საზღვარგარეთ ჩვენი ქვეყნის წარმომჩენა სურთ, წყალსაცავის ტერიტორიაზე მოპოვებული უნიკალური მასალა წარმოდგენილი. თავის დროზე, ბ. კუფტინმა დიდხანს იმუშავა მომავალი წყალსაცავის ფსკერზე და ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ ძირითადი აღმოჩენები უკვე მომხდარი იყო, მაგრამ 1999 წლის ზამთარში, როდესაც წყლის დონე მაქსიმალურად იყო დაწეული, კიდევ მრავალი არქეოლოგიური ძეგლი იპოვეს. ეს მცირე შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ 2024 წლამდე ყველა არქეოლოგიური ობიექტი ხელუხლებელი გვხვდებოდა. წლებიდანემა მონიტორინგმა აჩვენა, რომ ჩვენი ისტორიის მძარცველებმა, რომლებიც მეტალოდეტექტორებით არიან აღჭურვილი, აქამდეც მოაღწიეს. საქართველოში არაერთგან შემხვედრია მათი ნაკვალევი, მაგრამ ნალკის წყალსაცავმა გვიჩვენა, რომ ისინი უკვე მძიმე ტექნიკითაც შეიარაღდნენ და, შესაბამისად, უფრო საშიში გახდნენ. მძარცველები აქ დიდთოვლობის დროს მოსულან, თოვლი ტექნიკის საშუალებით მოუშორებიათ ყორღანისათვის და ორ ადგილზე ამოუთხრიათ ყორღანის შიდა სივრცე. დროა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებზე მეტალოდეტექტორებით ძიება და არტეფაქტების მოპოვება კანონით დარღვეულია!

ქვეყანაში შავი არქეოლოგიის კვლამ მკვლევრები ყველგან ახედებინა. მათ შორის, ერთ-ერთი აქტიური მკვლევარი კუქური მეტრეველია სამცხე-ჯავახეთში. ამ ისტორიული ძეგლებით გამორჩეულ მხარეში ის

შავი არქეოლოგიის სავალალო კვალს არაერთ ძეგლზე ხედავს.

- უამრავი მკვლევარია, ვინც ამ ისტორიის მძარცველებსაგან გადათხრილი ისტორიული ძეგლებს ნასწყობა და ეს საჯაროდაც განუცხადებია. თუმცა, არავინ ისჯება იმის გამო, რომ ჩვენი ისტორია გაძარცვა. ან შედეგი როგორ გამოჩნდება, როდესაც ქვეყანაში კანონით არ არის დარეგულირებული, რომ ისტორიული ექსპონატების განზრახ თხრა, გარდა სპეციალისტებისა, აკრძალული უნდა იყოს, მით უფრო დღეს, როდესაც ყველას შეუძლია ხელში მეტალოდეტექტორი დაიჭიროს და მთელი საქართველო გადათხაროს. მთელი საქართველო წინაპართა საძვალეებითა და მათი კვლით არის სავსე. ჩვენს ისტორიას უამრავი ადამიანი გასაძარცვად არის შესული და ამ ვანდალიზმის კვალს სულ უფრო ხშირად ვხედავ. განსაკუთრებით დაცლილ სოფლებში. ეს ხალხი მეტალოდეტექტორით იკვლევს, სად არის მეტალი და სად გააკეთოს თავისი ავი საქმე. არაადამიანებისთვის ეს საქმე უკვე ბიზნესად არის გადაქცეული. ყველა ფაქტი მაქვს აღრიცხული, შემძლია ოფიციალური სტრუქტურებიც ნაჯიჯგნ ძეგლებზე ნავეყვანო და ვაჩვენო, მაგრამ რეაგირება არ იქნება. განა მარტო ახლა? ასეა 1990-იანი წლებიდან, რა დროიდანაც შავი არქეოლოგია აღორძინდა. სხვათა შორის, ერთ-ერთ პირველ გამოგნებულ ფაქტს 2000-იანი წლების დამდეგს თავად ნავანყდი, იალას ველზე თურქეთ-საქართველოს საზღვარზე მედბარე ისტორიულ ძეგლზე ვილაც კაცს ტრაქტორი ჰყავდა მიყვანილი და მიმტკიცებდა, აქაურობა უნდა გავთხარო, უნდა დავამტკიცო, რომ აქ მუშაობენ ცხოვრობდნენ! შემდეგში მსგავსი ამბები გახშირდა. მართალია, ყველა ტრაქტორით არ მუშაობს, მაგრამ ბნელ საქმეს ხელითაც ახერხებენ. მთელ მესხეთ-ჯავახეთში ლამის მთელი ძეგლები გადათხრილია. რამდენიმე წლის წინ ნინოწმინდაში ძეგლთან ერთად გარშემო საფლავებიც კი ამოტრიალებული დამხვდა. 18 საფლავიდან ძვლები იყო ამოყრილი.

შავ არქეოლოგიას ის ხალხი მისდევს, ვინაც წარსული იცის და ისიც სმენია, რა წეს-ჩვეულებები გვქონდა.

წარმოდგინეთ, კლდეებზე, გამოქვაბულებშიც კი დაუწყეს ძიება ოქროს. იციან, მტრის შემოსევების დროს ჩვენი წინაპარი განძს ხშირად ინახავდა მიუვალ ადგილებში. შავი არქეოლოგები ისტორიის კარგად მცოდნე პირებისგან შემდგარი ჯგუფებია, რომლებიც საქართველოს ისტორიას ანადგურებენ უკვე დეტექტორებითა და მძიმე ტექნიკით. დეტექტორი პირდაპირ მიუთითებს, სად არის ჩაფლული ლითონი და მის მოძებნას რალა უნდა! ნალკაში, წყალსაცავის ყორღანზე შავი არქეოლოგების მიჭაჭანება როგორ შეიძლება, როცა სწორედ ყორღანის კულტურამ გააცნო სულ სხვა კუთხით საქართველო მსოფლიოს.

ექსპერტმა ანდრო ბარნოვმაც განაცხადა მეტალოდეტექტორებით შეიარაღებული ოქროს მაძიებლების შესახებ, რომელიც მის კუთხილ ტერიტორიას ყოფილან შესეული.

- სოფელ ახალციხეში ვენახი მაქვს, ღვინოს ვანარმოებ, მის მიმდებარე კი ჯერ კიდევ შეუღობავი ნაკვეთია. იმ დღეს ჩემი მუშახელიც ჩემთან ერთად მუშაობდა, როდესაც ნაკვეთთან ხალხით სავსე სამი „ჯიპი“ მოვიდა. ავტომანქანებიდან რალაც ხელსაწყოებით შეიარაღებული ხალხი გადმოვიდა და ჩემს ნაკვეთს შეესია. თავიდან ვერც მივხვდი, რა უნდოდათ და რატომ მოვიდნენ, მაგრამ ერთმა მუშამ მითხრა, ეგენი აქ რალაცას ეძებენ, დეტექტორები იმიტომაც მოიტანესო. ნაკვეთში გადავედი და ვიკითხე, ვინ ხართ ან ჩემს ნაკვეთში რას აკეთებთ-მეთქი?! მიპასუხა, მონიტორინგ ვეძებთო!

**- ასე პირდაპირ გიპასუხათ?**

- დიახ. რომ ვუთხარი, ახლავე აქედან წადით, ეს ნაკვეთი კერძო საკუთრებაა-მეთქი, ერთი მათგანი ავტომანქანასთან ჩავიდა და დანარჩენებს ურეკავდა, ახლავე ჩამოდი, თურმე ნაკვეთი კერძო საკუთრება ყოფილაო. ასე, 15 წუთი დარჩნენ, ჩასხდნენ ავტომანქანებში და წავიდნენ. თუ სახელმწიფო სახელმწიფოს არ დავემგავსა, ჩვენი ქვეყანა მთლიანად გაძარცვება, მით უფრო, მინამი დამარხული ლითონის ამომცნობი დეტექტორის შეძენა არავის უჭირს, საკმარისია გამოიწერო და შინ მოგიტანენ.

**გაზატი „პირის პალიტრა“**

## ქართული გენეტიკის „საიდუმლო“ - პენსილვანიის უნივერსიტეტის კვლევის შედეგი, რომლის შესახებ ბევრმა არ იცის

**2016 წელს ნალკის მონაწილეობაში მონაწილეობის მიზანმიმართულად, „მთხროთი მიიღოთ მონაწილეობა განეტიკურ კვლევებში, რომლებსაც ატარებენ დოქტორი თ. შური, დოქტორი რ. ჯიგაძე, დოქტორი ა. იარღვიანი (პენსილვანიის უნივერსიტეტი) და მკვლევარი საქართველოდან: დოქტორი ლია ბითაძე და დოქტორი დავით ჭითანაძე“.**

კვლევები მიზნად ისახავდა მეგრელების გენეტიკური წარმომავლობისა და ასაკის დადგენას. მონაწილეს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გამოეხმაურა, თუმცა კვლევებში 485-მა კაცმა მიიღო მონაწილეობა. მათი გენეტიკური ანალიზი კი ამერიკაში, კერძოდ, პენსილვანიის უნივერსიტეტში გაიგზავნა, საიდანაც ასეთი პასუხი მოვიდა: „დნმ ნიმუშებიდან 48-მ აჩვენა, რომ ეს ნიმუშები ერთმანეთს ემთხვევა და ადგილობრივი მოსახლეობა (ანუ მეგრელები) თავიანთ ტერიტორიაზე მოსახლეობენ, სულ მცირე, ბრინჯაოს ხანიდან“, რაც ნიშნავს, რომ ქართული ეთნოგენეზის ეს ჯგუფი გენეტიკურად უცვლელია, სულ მცირე, 5000 წლის განმავლობაში ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს (ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც დროთა განმავლობაში დამპყრობელმა

მიითვისა).

რატომ დასჭირდა კვლევებს ამდენი დრო და რატომ ჩატარდა კონკრეტულად დნმ-ანალიზი, ამის შესახებ მკვლევარ დავით ჭითანაძეს ვესაუბრეთ:

- როდესაც პენსილვანიის უნივერსიტეტის პასუხი გამოქვეყნდა, სხვებთან ერთად მეც დამებდა კითხვა, რატომ ჩატარდა მაინცდამაინც მეგრელთა კვლევები და არა სხვისი. ადგილზე ცხოვრების ხანგრძლივი ვადის გარდა, კიდევ რა დაადასტურა ამ ანალიზმა?

- მეგრელთა დნმ-ანალიზი განცალკევებით სულაც არ ჩატარებულა, მასზე ადრე, 2012 წელს, გვქონდა სვანთა დნმ-კვლევა, რომელმაც ასევე დაადასტურა არსებობის მრავალათასწლოვანი ისტორია. მომდევნო მეგრელთა ანალიზი იყო, რომლის კვლევა, სხვათა შორის, მხოლოდ მეგრელთა ქართული ეთნოსის სიცოცხლის ხანგრძლივობის დადგენა არ ყოფილა, არამედ სხვა პროცესებიც, მაგალითად, მრავალათასწლოვანი მიგრაციები მსოფლიოში. არსებობს მოსაზრება ევროპაში საქართველოდან დიდი გადასახლების შესახებ, რაც ასეთი კვლევებით დასტურდება.

**- განეტიკური მსაპსაპით?**

- რა თქმა უნდა, კვლევის პრო-

ცესში მეგრელთა დნმ ჰაპლოჯგუფი შეადარეს ანატოლიის, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ჰაპლოჯგუფებს და აღმოჩნდა, რომ მეგრელების დნმ ჰაპლოჯგუფებს მალალი სიხშირის მსგავსება აქვთ ევრაზიის დასავლეთ ნაწილის ჰაპლოჯგუფებთან, დანარჩენებთან კი დაბალი სიხშირე.

- ევრაზიის დასავლეთი ნაწილი დასავლეთი ევროპა ანუ მეგრელებს (აქედან გამომდინარე, ქართველებს) დასავლეთეფროპელებთან, ფრანგებთან, ინგლისელებთან და ა.შ. უფრო მეტი მსგავსება აქვთ, ვიდრე სხვა დანარჩენებთან.

- დიახ და ეს ადასტურებს კავკასიიდან დასავლეთ ევრაზიაში კავკასიელთა მიგრაციას. რაც გენეტიკით დადგინდება, მოგეხსენებათ, უტყუარია.

**- გატონო დავით, თქვენი აზრით, რომ სვანების დნმ-კვლევა არის ჩატარებული. რა აღმოჩნდა, ეს უფრო უპირატესი ჯგუფი ხომ არ არის?**

- ჰაპლოჯგუფების „ხნოვანებაზე“ კითხვას ასე მარტივად ვერ ვუპასუხებთ. ეს უფრო გენეტიკოსების საქმეა. შეიძლება რომელიმე ნიმუშმა 1200 წელს წინდის ხნოვანება აჩვენოს, მაგრამ პასუხი ყალიბდება საერთო მონაცემის შეჯგურებით. თუმცა კვლევებით ირკვევა, რომ დღეს სხვადასხვა ენაზე მო-

ლაპარაკე ჯგუფებს საერთო დნმ აქვთ. მაგალითად, აფხაზებს, სვანებს, ოსებს და ეს ნიშნავს, რომ მათი კავშირი უწყვეტი იყო. სხვათა შორის, სვანებში ჩატარებულმა კავკასიელთა ეთნოგენეზის ცენტრის კვლევებმა სენსაციური ანალიზი გავჩვენა. კერძოდ, დასტურდება, რომ მათი ჰაპლოჯგუფი კავშირშია უძველესი ცივილიზაციის ხალხთან, კერძოდ, შუმერებთან, რომლებმაც უძველესი კულტურა შექმნეს.

**- თქვენი როგორ ფიქრობთ, როგორ ხდება ქართული დნმ-ის ასე უცვლელად შენარჩუნება? არსებობს აზრი, რომ ამაში მთა გვიხმარებოდა - როდესაც მტრის შემოსევა იყო, მოსახლეობა მთაში აღიოდა და ამდენად განეტიკური მუტაცია არ ხდებოდა.**

- რა თქმა უნდა, ესეც იყო, მაგრამ ვფიქრობ, ათასწლეულების განმავლობაში გენეტიკის უცვლელია დახურული საზოგადოების შედეგად არის - ანუ მამაკაცის ხაზით ნაკლებად ხდებოდა შერეული ქორწინებები. დღეს ოდნავ სხვა მდგომარეობაა, თუმცა ადგილზე მაინც იმავ ნიშნებს ვინარჩუნებთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გავუძელით ათასწლეულებს, რაც ცხადია, ქართველი ხალხის იოლი ცხოვრებით არ მომხდარა.



# ზოგადი განათლების საფეხურებში სწავლებას ხორციელდება, რომლის მიღების შედეგად, სავალდებულო საბაზო განათლება 9 კლასის ნაცვლად, 10 კლასით განისაზღვრება და მოსწავლეების სავალდებულო განათლების მიღების უზრუნველყოფა 10 კლასის ჩათვლით მოხდება.

პარლამენტში ინიცირებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებები, რომლის გათვალისწინებით, საქართველოში ზოგადი განათლების სამი საფეხური შემდეგნაირად განისაზღვრება: - დანყოფილებით (6 წელი - I-VI კლასები), საბაზო (4 წელი - VII-X კლასები) და საშუალო (2 წელი - XI-XII კლასები).

აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, საბაზო საფეხური 1 წლით იზრდება და 4 წლიანი ხდება, ხოლო სამწლიანი საშუალო განათლება მცირდება 2 წლამდე ისე, რომ სრული ზოგადი განათლება კვლავ 12-წლიანი რჩება.

პროექტის ავტორი და ინიციატორი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა.

უწყების ინფორმაციით, საკმაოდ მაღალია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც სკოლას მე-9 კლასის შემდეგ ტოვებენ (3 200-მდე მოსწავლე 2023 წელს), ხოლო მათი შრომის ბაზარზე დასაქმების პერსპექტივა ძალიან დაბალია - 9 კლასის დამთავრებით მიღებული ცოდნიდან და ასაკიდან გამომდინარე, ვინაიდან სკოლაში შესვლის ასაკი 6 წელია, ხოლო „შრომის კოდექსის“ თანახმად, ფიზიკური პირის შრომითი ქმედუ-

ნარიანობა წარმოიშობა 16 წლიდან. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყურადღებას იმაზეც ამახვილებს, რომ მატულობს მოზარდების ისეთი რისკების წინაშე დადგომის ალბათობა, როგორცაა ბავშვთა ქორწინება, ასაკის შეუსაბამო დასაქმება, ტრეფიკინგი, კანონსაწინააღმდეგო ქმედებები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრა და სხვა.

როგორც სამინისტრო განმარტავს, საბაზო საფეხურის გაზრდით მოსწავლეები უფრო მომზადებულნი იქნებიან იმისთვის, რომ მეტად გააზრებული გადაწყვეტილება მიიღონ - განაგრძონ სწავლა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, თუ პროფესიულ სასწავლებელში. ამასთან, უწყების შეფასებით, თუ მოსწავლე სწავლის შეწყვეტას გადაწყვეტს, ის 15-16 წლის იქნება, ოთხწლიანი საბაზო საფეხურის პროგრამა კი უზრუნველყოფს უფრო მეტად მომზადებული ახალგაზრდის გასვლას შრომის ბაზარზე.

„აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტების შინაარსობრივი ნაწილი (მაგალითად, ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში, ისტორიაში, სამოქალაქო განათლებაში და სხვ.) გადანაწილდება 4 კლასზე და თითოეულ კლასში მოსწავლის სავალდებულო განათლების დატვირთვა შემცირდება.“

არსებული მდგომარეობით, VIII-IX კლასის დატვირთვა საგრძნობლად მაღ-

ალია. საშუალო საფეხური (XI-XII კლასი) იქნება მეტად ფოკუსირებული განათლების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გასაგრძელებლად იმისთვის, რომ განათლების სისტემა სათანადოდ მოემზადოს აღნიშნულის დასაწერად“, - ვკითხულობთ კანონის პროექტის განმარტებით ბარათში.

ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების ხანგრძლივობის ცვლილებასთან დაკავშირებით, კანონპროექტი გარდამავალი დებულებების დამატებას ითვალისწინებს, რომელიც ახალი საკანონმდებლო ნორმის ძალაში შესვლასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ დეტალებს აკონკრეტებს. კერძოდ, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ხანგრძლივობის ცვლილება, ასევე იმ მოსწავლეებს შეეხება, რომლებიც 2024-2025 სასწავლო წელს IX კლასში იქნებიან, რაც ნიშნავს, 2024-2025 სასწავლო წელს IX კლასელი მოსწავლეების X კლასში გადაყვანას საფეხურის დაძლივის გარეშე ანუ 2024-2025 სასწავლო წელს IX კლასის მოსწავლეებს სავალდებულო საბაზო განათლება 1 წლით გაუხანგრძლივდება.

გარდამავალი დებულებებით ასევე დადგენილია, რომ 2024-2025 სასწავლო წლის ჩათვლით ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის X კლასში სტატუს-შეჩერებული მოსწავლეები, რომლებიც სტატუსს 2025-2026 სასწავლო წლიდან აღიდგენენ, სწავლას ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის XI კლასში

აგრძელებენ, ვინაიდან მათ უკვე დაძლიებული აქვთ საბაზო საფეხური, ხოლო 2025-2026 სასწავლო წლიდან საშუალო საფეხური 2 წლიანია.

გარდამავალი დებულებით ასევე დადგენილია სპეციფიკური ჩანაწერი იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც 2024-2025 სასწავლო წელს ვერ დაძლიეს საშუალო საფეხურის X კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე. ისინი 2025-2026 სასწავლო წელს სწავლას აგრძელებენ საშუალო საფეხურის XI კლასში, ვინაიდან, ამ პერიოდისათვის X კლასი უკვე მიეკუთვნება საბაზო საფეხურს, რაც მათ დაძლიებული აქვთ.

აკადემიური ჩამორჩენის აღმოფხვრას სკოლა უზრუნველყოფს რემედიაციის პროგრამით, რაც რეგულირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით.

გარდამავალი დებულებების ბოლო ორი პუნქტი ეხება საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) განმარტებული საგანმანათლებლო დაწესებულებებს. კერძოდ, დაწესებულება უფლებამოსილი იქნება 3 წლიან საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულების შესაძლებლობა მისცეს იმ პირებს, რომლებიც ჩაირიცხნენ 2025 წლის 1 ივლისამდე გამოცხადებული პროფესიულ სტუდენტთა მიღების საფუძველზე.

## საბავშვო ბაღებში პერსონალის გადამზადება მიმდინარეობს

დედოფლისწყაროს საბავშვო ბაღების ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ტრენინგები მიმდინარეობს. როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო ცენტრში განმარტავენ, გადამზადების კურსი რამდენიმე ეტაპად ჩატარდა, როგორც დედოფლისწყაროში, ისე გურჯაანში.

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, I2Q პროექტზე, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად შერჩეული და გადამზადებული დარგის სპეციალისტი ტრენერები მუშაობენ. სატრენინგო მოდული მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებს, მათ შორის ჯგუფურ სამუშაოს და დისკუსიას. ქალაქ დედოფლისწყაროში გამართული ტრენინგის მთავარი თემები იყო საბავშვო ბაღის მართვის პრინციპები, ხარისხიანი და ადრეული განათლების მნიშვნელობა. ხოლო, გურჯაანში საბავშვო ბაღების წარმომადგენლები უსაფრთხოების ნორმებს გაეცნენ და სპეციალური სწავლება ჩატარდა.

**ლია სუსიტაშვილი (ოზანის საბავშვო ბაღის დირექტორი):** „აპრილის ბოლოს სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის ძალისხმევით ქალაქ გურჯაანში გავიარეთ ბუნებრივი აირის ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების ტექნიკური წესების დაცვის შემსწავლელი ტრენინგი, შემდეგ კი ტესტირება. შეხვედრა, რომელიც მპს „ინტელექტის“ ბაზაზე გაიმართა,

მართლაც საინტერესო იყო. იქ მიღებული ცოდნა დაგვეხმარება ვიცოდეთ, როგორ ვიმოქმედოთ საჭიროების შემთხვევაში ეფექტურად. მართალია ახალი სტანდარტების შესაბამისად სააღმზრდელო ბუნებრივი აირის გამოყენება აღარ ხდება, ელექტროქურებით შეიცვალა ტექნიკა, მაგრამ მაინც გვასწავლეს ბუნებრივი აირის უსაფრთხო გამოყენების წესები. ამაშია და აირის მხოლოდ ცენტრალური გათბობის სისტემაში ვიყენებთ. სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელი, ირმა ჯანაშვილი, ყოველთვის ზრუნავს საბავშვო ბაღების პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. რამდენიმე დღის წინ საბავშვო ბაღების მენეჯერებმა და მეთოდისტებმა ასევე გავიარეთ ბაღების ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების ტრენინგი. პროცესი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარეობს და გადამზადებული სპეციალისტები ნინო ცინცაძე, გიორგი მესხიძე და ნინო ჩხილაძე იყვნენ ჩამოყვანილი. საკმაოდ მრავალისმომცველი და საინტერესო კურსი იყო. საამოვნებით მოვისმინეთ და მიღებულ გამოცდილებასა და რეკომენდაციებს პრაქტიკაში დავნერგავთ. მაღლობა მინდა ვუთხრა დედოფლისწყაროს სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელობას, მართლაც ნაყოფიერი გადამზადებისთვის“.

**მარიკა ნიკლაშვილი (ზემო ქედის №1 ბაღის დირექტორი):** „ჩვენ 3 დღიანი გადამზადება გვექონდა, ახლა აღმზრ-



დელები გადიან 10 დღიან კურსს. ჩვენს ბაღში ორი ჯგუფია და ამასწინათ ორივე აღმზრდელმა გაიარა 66 საათიანი ტრენინგი, ახლა კი 10 დღიან გადამზადებას გადიან. გადამზადებულნი არიან მედღეობის, ძალიან ხშირად ტარდება პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად სხვადასხვა შეხვედრები. უზომოდ საინტერესო იყო ჩემთვისაც. ძალიან მომეწონა მეორადი ნივთებით ეზოს მოწყობის საკითხები, კუნძულებით და სხვადასხვა ნივთებით ბავშვთა აქტივობების სივრცეების მოწყობისა და გაფორმების საკითხები განვიხილეთ. ახალი წესდების თანახმად, საბავშვო ბაღში ქვიშის გამოყენება შეიზღუდა. რადგანაც ყოველკვირეულად უნდა კონტროლდებოდეს მისი სისუფთავე. გაგვაცნეს ქვიშის დაფენის უსაფრთხო წესი. ინკლუზიური ბავშვების სასწავლო მეთოდებზეც იყო საუბარი, ეს თემა ვრცლად განვიხილეთ, თუმცა, საბედნიეროდ ჩვენს ბაღში არ გვყავს ასეთი აღსაზრდელი. მხოლოდ ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვი გვყავს და მისთვის განკუთვნილი მეთოდების დახმარებით ბოლო წლებში საუკეთესო შედეგი გვაქვს. ხაზი გაესვა იმას, რომ სააღმზრდელო დაწესებულება მაქსიმალურად უნდა მოერგოს ბავშვს და მის ინტერესებს. ჩვენთვის პრიორიტეტი სწორედ ბავშვია. ჯგუფების მიხედვით უშუალოდ მეცადინეობებსაც შევხვით. ვერ ვიტყვი, რომ რაიმე ისეთი მოვისმინე, რაც არ ვიცოდით, მაგრამ ნამდვილად

გავიღრმავეთ და გავაუმჯობესეთ ჩვენი ცოდნა. მაგალითებისა და ვიდეომასალების დახმარებით ვიმსჯელოთ ძალიან ბევრ დეტალზე. ასევე საინტერესო იყო გურჯაანში გამართული სწავლება. იმდენად საინტერესო იყო, რომ შესვენების გარეშე ვიმუშავეთ და დასრულების შემდეგაც უამრავი შეკითხვა გვგვადებოდა. გურჯაანში უსაფრთხოების საკითხებზე ვისაუბრეთ. ცნობილია, რომ ქედების ზონაში ბუნებრივი აირი არასოდეს არ ყოფილა, დაახლოებით ორი წელია რაც ჩვენს საბავშვო ბაღში გაზი შემოვიყვანეთ. თავდაპირველად სააღმზრდელო ცენტრში ბუნებრივ აირს ვიყენებდით, მაგრამ ერთიანი მიდგომის თანახმად, ისინი უკვე ჩანაცვლდა ელექტრო ქურებით და ახლა ბუნებრივ აირს მხოლოდ გათბობაზე ვიყენებთ. ისიც ეზოში არსებულ დახმარებულ შენობაშია გაყვანილი და ვენტილაცია ხდება. გურჯაანში ისეთი წვრილმანები განვიხილეთ და უსაფრთხოების საკითხებს ირცეად ვაფორმავდით, ასე ვერცლად არ ვეფიქრებულვართ ამაზე. ეს საკითხიც მაგალითებით გვექონდა განხილული. მართლა ძალიან კმაყოფილი დავბრუნდი ორივე ტრენინგიდან და მაღლობელი ვარ ორგანიზატორების, ამ გამოცდილების გაზიარებისთვის. ნამდვილად დროული და საჭირო შეხვედრები გვექონდა“.

**ლია მარტყოფლიშვილი**





# კონსტიტუცია, როგორც პოლიტიკური წყობილების ელემენტი

საზოგადოებას სოციალურ-პოლიტიკურ წარმართა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კონსტიტუციას, როგორც ძირითად სახელმწიფო წესდებულს-სამართლებრივ აქტს (იშვიათად-რამდენიმე ძირითადი აქტის კრებულს). მასში ძირითადი სახელმწიფოებრივი საფუძვლებია ფიქსირებული. ძალზე დიდია თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკური წყობილების კონსტიტუციური წარმართის როლი და მნიშვნელობა. ისინი საზოგადოებრივ ურთიერთობას არაპოლიტიკურ, სახელმწიფო ხალისუფლებას ხორციელდება მათზე დაყრდნობით.



ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური სისტემის ძირითადი პრინციპების ლეგიტიმაცია კონსტიტუციის საშუალებით ხდება. ოფიციალური აღიარებით კონსტიტუცია სხვა სამართლებრივ აქტებთან შედარებით უზენაესად ითვლება. ის ქმნის მიმდინარე კანონმდებლობის სამართლებრივ ბაზას. ყოველი ახალი კონსტიტუციის მიღება იწვევს მოცემული ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ცვლილებებს მანამ, სანამ მათი სრული შესაბამისობა არ მოხდება. ნებისმიერი კანონი, ადმინისტრაციული თუ სამართლებრივი აქტი, რომელიც არ შეესაბამება მას, ითვლება არაქმედითუნარიანად და არ შეიძლება მისი განხორციელება. თით კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების გაგებაც კი კონსტიტუციის შესაბამისად უნდა მოხდეს. თანამედროვე პოლიტოლოგია კონსტიტუციას პოლიტიკურ ურთიერთობათა მთავარ რეგულატორად მიიჩნევს. მაგ. ფრანგი პოლიტოლოგი ჟორჟ ბიურდო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციური სამართლის როლი მხოლოდ „სტაბილური საზოგადოების“ პრობებში გაიზრდება, სადაც და როდესაც სამართლებრივი ნორმები პოლიტიკური მოღვაწეობისა და პოლიტიკური ინსტიტუტების დიდ ნაწილს გადაფარავს. ასეთ შემთხვევაში, ჟორჟ ბიურდოს მითითებით, ერთმანეთს ემთხვევა რეალური პოლიტიკური ცხოვრება და იურდიკული ინსტიტუტული ცხოვრება პოლიტიკური ცხოვრება. არასტაბილურ საზოგადოებაში კი, ავტორის აზრით, კონსტიტუციურ-სამართლებრივი მექანიზმი მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავს პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროს, რომელიც თანდათან მცირდება.

პერიპეტეებსა და მმართველობის ფორმებისა თუ პოლიტიკური რეჟიმის მონაცვლეობას.

- აქვე ზედმეტი არ იქნება, განსაკუთრებით მოვიხსენიოთ საფრანგეთის 1791 წლის კონსტიტუცია (მსოფლიო ისტორიაში რიგით მესამე წერილობითი კონსტიტუცია). რომელიც სახელმწიფოს მოქალაქეებს სოციალური მდგომარეობის მიხედვით ორ კატეგორიად ჰყოფდა.

- მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში მიიღეს ახალი კონსტიტუციები, რომელთაგან დიდი უმრავლესობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათისა იყო (საფრანგეთში-1946 წელს, იტალიაში-1947 წელს, იაპონიაში-1947 წელს, ესპანეთში-1978 წელს).

- ძირითადად კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად უფრო დემოკრატიული გახდა დანიის 1953 წლისა და შვედეთის-1974 წლის კონსტიტუციები, აგრეთვე პორტუგალიის 1976 წლის კონსტიტუცია.

- მეორე მსოფლიო ომის დროს ყოფილი აგრესორი სახელმწიფოების ძირითად კანონებში შეტანილია საგანგებო, ე.წ. „სამშვიდობო“ სტატიები, რომელთა მიხედვითაც საგარეო პოლიტიკის მშვიდობიანი განხორციელების პროცესებია განცხადებული. (იაპონიის კონსტიტუციის მეცხრე სტატია, იტალიის კონსტიტუციის მეთერთმეტე სტატია). გერმანიის (ყოფილი გერ-ს) ძირითადი კანონის 26-ე სტატიაში აღნიშნულია, რომ ნებისმიერი სახელმწიფო მოქმედება, რომელსაც შეუძლია მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევა და მიმართულია აგრესიული ომისაკენ, ითვლება ანტიკონსტიტუციურად.

- დღეისათვის კონსტიტუციათა კლასიფიკაცია ახდენენ იმ პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით, რომელთაც ძირითადი კანონი ამკვიდრებს ამა თუ იმ სახელმწიფოში. განსახვავებენ ერთის მხრივ ე.წ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და მეორე მხრივ, ავტორიტარულ კონსტიტუციებს.

- ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საგანგებოდ აფიქსირებს დემოკრატიული თავისუფლების განსაზღვრულ დონეს, ამკვიდრებს პარლამენტარიზმის პრინციპებს, იძლევა პოლიტიკური პარტიების შექმნისა და მოღვაწეობის უფლებას. ამ ტიპის მოქმედი კონსტიტუციები არის იტალიაში, ესპანეთში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, იაპონიაში, შვეიცარიაში, ფინეთში. ამავე ჯგუფს შეიძლება მივაკუთნოთ ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიისა და საფრანგეთის ძირითადი კანონები.

- ავტორიტარულ კონსტიტუციათა რიგს მიეკუთვნება ფაშისტური და პროფაშისტური ხასიათის ძირითადი კანონები.

კონსტიტუციები, რომლებიც ამკვიდრებენ სამხედრო-დქტატორულ თუ რასისტულ რეჟიმებს. ასეთი კონსტიტუციის ყველაზე ტიპიური მოვლენა იყო, არც თუ ისე შორეულ წარსულში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი ძირითადი კანონი, რომელმაც შემდეგ მნიშვნელოვანი თვისობრივი ცვლილებები განიცადა. ასეთი კონსტიტუციების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროში მრავალდარგოვანი შეზღუდვები. თვით პოლიტიკური პარტიების აკრძალვამდე ხელისუფლების კონცენტრაცია მთავრობის ან სახელმწიფო მეთაურის ხელში და სხვა.

- აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს ძირითადი კანონი შუალედური ხასიათისაა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და ავტორიტარულ კონსტიტუციებს შორის. მათში ფიქსირებული გარკვეული დემოკრატიული უფლებები ფაქტიურად შეზღუდულია ძირითადი კანონის სხვა მუხლებით.

მეოცე საუკუნის დასაწყისამდე საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მონარქისტულ და რესპუბლიკურ კონსტიტუციებს შორის განსხვავებას. მაგ. გერმანიის 1871 წლის მონარქისტული კონსტიტუცია ბევრად უფრო რეაქციული ხასიათისა იყო შვეიცარიის 1874 წლის რესპუბლიკურ კონსტიტუციასთან შედარებით. დღეისათვის ამ სახის განსხვავებანი კონსტიტუციებს შორის მინიმალურია.

- სახელმწიფო წყობილების ფორმის და მკვიდრების მიხედვით კონსტიტუციები იყოფა ორ ჯგუფად: ფედერაციულად და უნიტარულად. განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ ფედერაციული კონსტიტუცია შეიცავს სპეციალურ განყოფილებას ფედერაციასა და ფედერაციის წევრებს შორის კომპეტენციის გაყოფის, აგრეთვე, ფედერაციის წევრის სამართლებრივი სტატუსის შესახებ. უნიტარულ კონსტიტუციებში ამ სახის განყოფილებები არ არის.

- ფორმის მიხედვით განსახვავებენ აგრეთვე ე.წ. დაწერილ და დაუწერილ კონსტიტუციებს. დაწერილი კონსტიტუცია, როგორც წესი, არის განსაკუთრებული საკანონმდებლო აქტი, ერთიანი დოკუმენტი, რომლითაც და მკვიდრებულია სახელმწიფო წყობილების ძირითადი ინსტიტუტები. დღეისათვის მრავალ სახელმწიფოთა კონსტიტუციები ძირითადად ასეთია.

- დაწერილ მიეკუთვნება ისეთი კონსტიტუცია, რომელიც ხშირად სხვადასხვა დროს შდგენილი ოფიციალური აქტების კრებულაა. ამის მაგალითია, შვეიცარიის კონსტიტუცია, რომელიც სამი ძირითადი კანონისაგან შედგება: 1. „მმართველობის ფორმის აქტი“, 2. აქტი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, 3. აქტი პრესის თავისუფლების შესახებ.

- დაუწერილი კონსტიტუცია წარმოადგენს არასისტემატიზირებული კანონების, სასამართლო პრეცედენტებისა და წესების ნაერთს. ის, ფაქტიურად, მოცილებულია ქვეყნის სახელმწიფო წყობილების საფუძვლებს და ფორმალურად ძირითად კანონად არ არის გამოცხადებული. ასეთი კონსტიტუციები აქვთ დიდ ბრიტანეთს, ახალ ზელანდიას, ისრაელს, რომლებზეც ხშირად ამბობენ, რომ მათ არა აქვთ კონსტიტუცია.

- თვითონ ცნება, „დაუწერილი კონსტიტუცია“, ძალზე პირობითია. ასეთ კონსტიტუციის კლასიკური მაგალითია ბრიტანეთის ძირითადი კანონი, რომელიც შედგება რამდენიმე აქტისაგან, დაწყებული თავისუფლების დიდი ქარტიდან (1215 წელი), მათ მიეკუთვნება აგრეთვე ნილი უფლებათა შესახებ (1689 წელი), აქტი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ (1701 წელი), კანონები პარლამენტის შესახებ (1911, 1949 წლები).

- მოქმედ კონსტიტუციათა დიდი უმრავლესობა მიღებულ იქნა წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, ზოგიერთ ქვეყანაში კი რეფერენდუმის შედეგად დამტკიცდა.

- საერთოდ კონსტიტუციის მომზადებისა და მიღებისათვის იქმნება ხოლმე სპეციალური წარმომადგენლობითი ორგანო-დამფუძნებელი კრება (კონსტიტუციური ასამბლეა, კონვენტი). ასე იქნა მიღებული იტალიისა და პორტუგალიის დღეისათვის მოქმედი კონსტიტუციები. პარლამენტისაგან განსხვავებით, დამფუძნებელი კრება დროებითი ორგანოა, რომელიც დასმული ამოცანის შესრულების შემდეგ წვევს თავის მოქმედებას ან უფრო იშვიათად-გარდაიქმნება პარლამენტად. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამფუძნებელი კრება პარალელურად პარლამენტის ფუნქციასაც

ასრულებს. დამფუძნებელი კრების შემადგენლობა და ხასიათი დამოკიდებულია როგორც საზოგადოებრივი ძალების შეფარდებაზე ქვეყანაში, ისე არჩევის წესზე. როგორც ყველგან „გამონაკლისი აქაც შეიძლება არსებობდეს, რისი დასტურიც არის გერმანიის 1949 წლის ძირითადი კანონი; იგი შემუშავდა და მიღებულ იქნა არა დამფუძნებელი კრების, არამედ საკმაოდ მცირერიცხოვანი საპარლამენტო საბჭოს მიერ.

- ყოფილა შემთხვევები, როდესაც კონსტიტუციის შემუშავება ეკისრებოდა ჩულებრივ საკანონმდებლო ორგანოს, ამასთან ძირითადი კანონის მიღებისათვის აუცილებელი იყო ხმათა კვალიფიცირებული უმრავლესობა. ამგვარად იქნა მიღებული ძირითადი კანონები საბერძნეთში 1975 წელს და ესპანეთში 1978 წელს (ამ უკანასკნელში მალევე ჩატარდა კონსტიტუციური რეფერენდუმი).

- ბევრ ფედერაციულ სახელმწიფოში (მაგ. აშშ, შვეიცარია, გერმანია) კონსტიტუციის ძალაში შესვლისათვის აუცილებელია ფედერაციის სუბიექტური უმრავლესობის თანხმობა.

- ცვლილებათა თანმიმდევრობის მიხედვით არჩევენ ე.წ. „მოქნილს“ და „მტკიცე“ კონსტიტუციებს. პირველი მათგანი შეიცვლება ან შეივსება ისეთივე წესით, რა წესითაც იცვლება ან ივსება რეალური კანონები. ასეთი კონსტიტუციებია დიდ ბრიტანეთსა და ახალ ზელანდიას.

- მტკიცე კონსტიტუციები შეიცვლება ან შეივსება განსაკუთრებული წესით და ცვეულებრივი საპარლამენტო პროცედურისგან გარკვეული სირთულით განსხვავდება. უმრავლეს ქვეყნებში კონსტიტუციის შეცვლისათვის აუცილებელია პარლამენტში ხმების კვალიფიცირებული უმრავლესობა (ჩვეულებრივი, ორი მესამედი).

- ზოგიერთ ქვეყანაში გათვალისწინებულია ე.წ. ორმაგი ვოტუმი (შესწორების მიღება გარკვეული ხმის შემდეგ პარლამენტის იგივე შემადგენლობით. ასეთი პრაქტიკა ყველაზე მეტად გამოიყენება იტალიაში), ან კიდევ შესწორების მეორედ მიღება პარლამენტის ახალი შემადგენლობის მიერ (ინდონეზიანდები, ნორვეგია, შვეიცარია, ფინეთი). ზოგიერთ ფედერაციულ სახელმწიფოს კონსტიტუციაში შესწორების შეტანისათვის აუცილებელია ფედერაციის სუბიექტთა გარკვეული რაოდენობა (აშშ, შვეიცარია), აგრეთვე იმართება რეფერენდუმები (შვეიცარია, ირლანდია).

- საინტერესოა რომ ზოგიერთი კონსტიტუცია აყალიბებს რიგ უცვლელ ნორმებს, მაგ, რამდენიმე ქვეყნის ძირითადი კანონის მიხედვით, არ შეიძლება გადაისინჯოს მმართველობის რესპუბლიკური ფორმის შეცვლის საკითხი.

- მოქმედების პერიოდის მიხედვით, რომელიც თვითონ კონსტიტუციის მიერ არის განსაზღვრული, განარჩევენ მუდმივსა და დროებით კონსტიტუციებს.

- მუდმივი კონსტიტუცია არ არის განსაღვრული დროში. დღეისათვის მოქმედი კონსტიტუციების უმრავლესობა ამ სახისაა.

- დროებითი კონსტიტუცია განსაზღვრულია პერიოდით შემოფარგლავს თავისი მოქმედების დროს (რაიმე გარკვეულ მომენტამდე ამ სახელმწიფოს ცხოვრებაში). ასეთი კონსტიტუციები დამფუძნებელი კრების მონვევის, ან რეფერენდუმის გარეშე მიიღება.

- ისტორიას ახსოვს პარადოქსებიც. მაგ. მუდმივი კონსტიტუცია (1946 წ.) საფრანგეთში მხოლოდ რამდენიმე თვე მოქმედებდა, მაშინ, როდესაც გერ-ის 1949 წლის დროებითი კონსტიტუციური აქტი ფაქტიურად ბევრ მუდმივი კონსტიტუციაზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

- ნებისმიერ კონსტიტუცია და მისი ქმედითუნარიანობის ხარისხი როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების სამართლებრივი კულტურის აუცილებელი ნიშანია. სწორედ კონსტიტუციური ნორმების შესრულება არის სახელმწიფოსა და მოქალაქის ნორმალური ურთიერთობის მთავარი პირობა.

გისიკ გიგოლაშვილი



# „სამშობლოს ასეთ სიყვარულს არ პატიობენ“

გაზეთი „შირაქი“ ხშირად გათავაზობს ქართველი მამულიშვილებისა და ეროვნულად მოაზროვნე პიროვნებების ნაზრევს, რომელიც დღემდე აქტუალურია და დროის დინებას გაუძლო მრავალი წლის განმავლობაში.

სწორედ ამიტომ, ამჯერად გათავაზობთ ჟურნალისტ ლელა საღლიანის უცნობ ინტერვიუს გურამ შარაძესთან, ჩანერილს 2002 წლის 15 თებერვალს. გურამ შარაძე ქართველი ფილოლოგი, ისტორიკოსი, პოლიტიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი იყო. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას: 1995-1999 წლებში იყო საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი „სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი“. 1999-2004 წლებში იყო საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით საარჩევნო ბლოკიდან „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“. 1999 წელს შექმნა საზოგადოებრივი მოძრაობა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, ხოლო 2001 წელს მოძრაობა „ენა, მამული, სარწმუნოება“. 2007 წლის 20 მაისს **გურამ შარაძე** მოკლეს თბილისის ცენტრში.

„დღეს, როდესაც მესამე ათასწლეულში გადავაბიჯეთ, განსაკუთრებული სიმძაფრით შეიგრძნობა, როგორ თვალსა და ხელს შუა გვადნება ეროვნული მეობა-ზნესრულობისა, ჭეშმარიტ მრწამსში და მამულიშვილურ გრძობაში განცხადებული. ცხოვრების გზაზე ზედმეტი ბარგივით მოსროლილ ეროვნულ თვისებებს, საგანძურს გაფრთხილება უნდა. უნდა მოვძებნოთ გზა სულის ხსნისა. ბატონ გურამ შარაძესთან, სწორედ ამ გზის ძიებაში მიმიყვანა.

**რა გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავს-ნათქვამია. როგორ გრძობს თავს ბატონი გურამ შარაძე?**

-მაქვს გაორებული გრძობა. სამშობლო მიყვარს, მაგრამ ამასთან ერთად მტკივა და მრცხვენია მისი დღევანდელი მდგომარეობა.

**ბატონო გურამ! გვსურს საქართველოში არსებული უზნეობის ატმოსფეროს შევხებით. ვისაუბროთ სულიერ ღირებულებათა პოზიციიდან. ღირებულებათა, რომელთა უგულველყოფითაც იწყება ყოველი საზოგადოების დაღუპვა. დავსვით კითხვა, თუ რისი ნაყოფია ამგვარი ატმოსფეროს შექმნა?**

-ზნეობა საერთოდ დამყარებულია ეროვნულ ტრადიციაზე, და ილიასეულ ტრადიციებზე, მამული, სარწმუნოება. როდესაც დღევანდელი საქართველოს მოქალაქე ხედავს, თუ რა მიმდევრობაშია მამული, საქართველოს 20 საუკუნოვანი ეკლესია და მისი მრევლი, დაკარგულია აფხაზეთი და სამაჩაბლო, უიმედობის გრძობით ივსება. ქართული ენა, რომელიც კონსტიტუციის მე-8 მუხლით გაწინააღმდეგებულია, რომ უნდა იყოს სახელმწიფო ენა, საქართველოს

ყველა მოქალაქისთვის, შეუსრულებელია. კონსტიტუციის მიღების შემდეგ ორი მოწვევის პარლამენტი გვყავს სახეზე და ჯერ კიდევ მისალწვეს ვერ მივალწიეთ. ის კი არა და იმასაც გვეუბნებიან, რომ ამ კანონის მიღება პრობლემას შეუქმნის ხელისუფლებას და საქართველოს მოსახლეობას და ამჯობინებენ თავი შევიკავოთ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისაგან. მე მინდა კითხვა დავუსვა ამგვარად მოაზროვნე „პოლიტოლოგებს“ საფრანგეთის (ან თუნდაც სხვა ქვეყნების მოქალაქეები) თუ წარმოდგენენ ფრანგული ენის უცოდინრად თავს. ასევე არიან გერმანელები, ინგლისელები და ა.შ. საქართველოში როგორ შეიძლება ყველაფერი ხდებოდეს? დავანებოთ თავი დიდ ქვეყნებს, მეზობელი სომხეთის მაგალითი ავიღოთ. თუ წარმოდგენს მისი მოქალაქე არ იცოდეს სომხური ენა, ან სომხური არ იყოს სახელმწიფო ენა. ჩვენს პარლამენტში არიან ისეთი დეპუტატები, რომელთაც ქართულად არც წერა და არც კითხვა არ იციან. რომელ ენაზე იგებენ 4 წლის განმავლობაში პარლამენტში, თუ რა კანონები შემოდის, ან როგორ მსჯელობენ ამ საკითხებზე, მე არ ვიცი. ან როგორ შეიძლება საუკუნეების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებმა მოქალაქეებმა ქართული ენა არ იცოდნენ და არც ჰქონდეთ სურვილი ისწავლონ. აქედან გამომდინარე იკიდებს ყოველგვარი უზნეობა მყარად ფეხს. ქართული ზნეობა, რომელიც დამყარებული იყო უძვირფასეს ეროვნულ ფასეულობებზე, აღარ შეგვრჩა. ქართველი კაცი მინის სიყვარულით გამოირჩეოდა. მინა ნაგვართვეს, ასევე ნაგვართვეს ენა და ეროვნულობა. თუ საქართველოში ქართველ მოქალაქეს ეროვნულობა არ ჩაენერება პასპორტში, საიდან არის ის ქართველი, ან რატომ უნდა ერქვას ჩვენს ქვეყანას საქართველო? ამ რამდენიმე დღის წინ ჩემთან მოვიდა გერმანიის რადიოს ჟურნალისტი და პირდაპირ შემეკითხა, რატომ იბრძვით ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისთვისო. თქვენ, გერმანიის მოქალაქეს, იგივე საკითხზე ბრძოლა გჭირდებათ თუ არა-ვკითხე. იცით რა მიპასუხა-გერმანია გერმანელებისაა, საქართველო ხომ ქართველების არ არისო. მართალია, აქ ბევრი სხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს, მაგრამ სახელმწიფო ხომ ჩვენ შევქმენით ამდენი საუკუნის განმავლობაში, ხომ იქცეოდა ქართველების სისხლი და ოფლი ამ მინაზე, ნუთუ იმის უფლება არ გვაჩნია ჩვენს ქვეყანას საქართველო დავარქვათ და ვიცხოვროთ აქ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ეროვნების ხალხს აქ ცხოვრება ავუკრძალოთ.

**ბატონო გურამ! დიდმა ვაჟამ ბრძანა „წესია, მამულისა და, მოკვდით და დაიხარჯენით“ დღეს ამგვარ გრძობაზე საუბარი გარკვეულ წრეებში ღიმილის მომგვრელია. მშობლის სიყვარულზე უარის მიქმელი ადამიანი, ღირებულს შექმნის?**

- ეს გრძობა ინერგება წლების განმავლობაში. მე ნაცისტად

მომნათლეს, რატომ ითხოვს ეროვნების ჩანერის აუცილებლობასო. რატომ იცავს მართლმადიდებელ ეკლესიას იელოველების შემოსვისაგან და ა.შ. ეს ახალგაზრდა პოლიტიკოსები, რომლებიც ამგვარ აზროვნებას ამკვიდრებდნენ დღეს შემოტრიალდნენ და ნაციონალისტები გახდნენ. თუ მათი მოქმედება გულწრფელია, მე მივესალმები, მაგრამ დავსვით მრავალწერტილი და დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. დრო ყველაფერს ნათლად დაგვანახებს.

**ბატონო გურამ! მოძალბულ ურიცხვ მტერს დღემდე ჩვენი რწმენით გაუშვებლად ვითარდებით. უთანასწორო ბრძოლაში მხოლოდ ჩვენმა რწმენამ გადაგვარჩინა. თუ დღეს, საქართველოს ბოლო ციტადელი ცუდ დღეშია, როგორ ფიქრობთ, საითკენ ნაგვიყვანს ეს გზა?**

- პირველად დაინყეს ქეთევან ნამებულის აუგად მოხსენიება და შეურაცხყოფა. ამ მკრეხელობის ავტორს ერთი კვირის წინ, ლამის ერის მამის იუბილემ გადაუხადეს. შემდეგ დაინყეს ილია ჭავჭავაძის გინება, ავტორები კი ზოგი საპასუხისმგებლო ეროვნულ თანამდებობაზე, ზოგი კიდევ პოლიტიკაში აქტიურ მონაწილეობას იღებს. ამ ყველაფერს კი მოემატა თამარ მეფის ლანძღვა. ახალგაზრდა მწერალმა კაცმა, მასზე პასკვილი დაწერა. ფაქტი ფაქტად რჩება. ჩვენი სამი წმინდანი შეურაცხვეს და ამის ჩამდენთ, ეს ყველაფერი შერჩათ. მე მიმაჩნია, რომ ამ გზით ხდება ქართველ კაცში ეროვნული სიამაყის გრძობის ჩაკვლა. იმედი მაქვს საბოლოოდ ჩვენი ხალხი ვერ მოითმენს სამშობლოს ამ მდგომარეობაში ყოფნას. ეს ნიჰილიზმი, გულგრილობა, საკუთარი უძლეულების დაჯერება, ერთ დღეს დაძლეული იქნება.

**სამშობლო, არა მარტო მშობლიური არსებობისთვის აუცილებელი ატმოსფეროა, არამედ მშობლიური ენაა. არამარტო წინაპრების მინაა, არამედ პიროვნების საფუძველი და საყრდენია. შინაგანად როგორ უნდა მოვიპოვოთ სამშობლო და რა გზას დავადგეთ?**

ყველაფერში როგორ შეიძლება იდოს მზაკვრული გეგმა. მთელი მონდომება დღეს გადატანილია, თუ როგორ დაუკარგონ ახალგაზრდებს სამშობლოს დაცვის სურვილი. წინა მოწვევის პარლამენტმა მიიღო კანონი ალტერნატიული სამხედრო სამსახურის შესახებ, რომელიც ახალგაზრდებს ათავისუფლებს იარაღის ცდის სამხედრო ხელოვნების დაცვისგან და მეორე მხრივ, სასამართლოში რეგისტრაციაში უკანონოდ გაატარეს ორი იელოველების ორგანიზაცია, რომლებიც კრძალავდნენ იელოველების სამხედრო სამსახურში წასვლას. შეიკრა საოცარი ჯაჭვი. სამხედრო კომისარიატი ცალკე იღებს ცნობის გაცემაში ფულს, იელოველები კი ცალკე ხდება ორი დიდი ბოროტება. ერთი, როცა ჩვენი ქართველი ვაჟკაცები იელოველები ხდებიან, რათა ჯარში



არ წავიდნენ (მათი გადაგვარებისთვის ყველანაირი ხერხია გამოყენებული) და მეორე მხრივ მათი ჯარში წაუსვლელობიდან გამომდინარე სუსტდება სამხედრო თავდაცვისუნარიანობა, იშლება ეროვნული არმია, რომელიც უნდა შედგებოდეს ჭეშმარიტი ეროვნული გრძობით ანთებული ჯანსაღი ქართველი ახალგაზრდებისაგან. დააკვირდით და თვალში გეცემათ, თუ რამდენი მზაკვრული ჩანაფიქრი არსებობს საქართველოს წინააღმდეგ. თქვენ, სამშობლოს შინაგანად მოპოვებაზე დამისვით კითხვა, ეს ჩვენთვის უკვე ფუფუნებაა, რადგან როგორც უკვე გითხარით, ქვეყნის დაცვის სურვილსაც უკარგავენ ჩვენს შვილებს, რაც ბუნებრივია იწვევს შინაგანი მოთხოვნილების ნულამდე დაშვებას.

**ბატონო გურამ! პიროვნება, ადამიანური ღირსების გრძობით იწყება. ხომ არ ფიქრობთ რომ დღეს ეს გრძობა დავკარგეთ და მოხდა სულიერ გენეტიკასთან დამაკავშირებელი ჯაჭვის განწყვეტა?**

- ნამდვილად გეთანხმებით, რომ დღეს ყველანაირი მექანიზმია ამუშავებული, ქართველ კაცს ღირსების გრძობა დააკარგინონ და სასონარკვეთილების გრძობას დააუფლონ. ამ ბოროტებასთან ბრძოლა დღეს არის ურთულესი საქმე. ქართველს, უნდა დავუბრუნოთ ეროვნული ღირსების გრძობა, შეგნება იმისა, რომ მას შეუძლია გაუმკლავდეს ამ დროებით მარცხს, წარუმატებლობას. თუ ეს პრობლემა გადაილახება, მწამს, საქართველო ისევ გაბრწყინდება.

**როგორი თვალთ უყურებთ მომავალს?**

ყველა ქრისტიანი მართლმადიდებლისთვის სასონარკვეთა ყველაზე დიდი ცოდვაა. მეც, როგორც ქრისტიანი, მომავალს იმედის თვალთ უყურებ.

**„სამშობლოს ასეთი სიყვარულს, არ პატიობენ. მათ როცა ვერაფერს უხარხარებენ, აუცილებლად კლავენ. აბაბაბით, ტკივილით რომ განვიხსნათ, აბაბაბ ვიც კალიან მტკივა. ღმერთმა გაანათლოს მისი სული ზაცვიურ საქართველოში, სადაც ალბათ ბატონ გურამს, თავისი „ლევილის სასაფლაოც“ აქვს“- წარდა შურნალისტი ლელა საღლიანი.**

დედოფლისწყაროს N1 საშუალო სკოლის 1966 წლის X პირველი კლასის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იწყებენ თანაკლასელს **ლალი ზიკაშვილის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



# მირზანის დასული ტერიტორიის შექმნას ითხოვენ

დასული ტერიტორიების სააგენტომ დაასრულა დედოფლისწყაროში კიდევ ერთი ლოკაციისთვის დასული ტერიტორიის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვა. სააგენტოს გადაწყვეტილებით გასულ წელს დედოფლისწყაროს კიდევ ერთი ახალი დასული ტერიტორია შეემატა სამუხისველის სახით. ამჯერად კი სოფელ მირზანის მოსახლეობა ითხოვს ყველანაირად ტაძრის მიმდებარე არსებული ტერიტორიის სტატუსის აღდგენა/დაბრუნებას. თუმცა, როგორც ირკვევა, ამ საკითხს საიმედო პირი არ უჩანს.



უნდა ითქვას, რომ კონკრეტული ხელნაწიდი მოგონებები, ან დოკუმენტური ცნობები არც მოსახლეობას აქვს.

**ზალიმხან ბიკაშვილი:** „ნაკრძალის არსებობა ნამდვილად მახსოვს, იშვიათი ხეები იდგა, ბევრი ხოხობი იყო. ბებია ქვემო მირზანში ცხოვრობდა და ბავშვობაში ხშირად დავდიოდი. ამ ადგილას ძირითადად ველურად მზარდი უნიკალური მცენარეები იყო. აქ ხილი არ მახსოვს, მაგრამ გზიდან მარჯვენა მხარეს იყო „იორდანეს ბაღი“, ძალიან ძვირფასი ბაღი იყო, იქ იყო ხილი დარ-

აპრილის თვეში სააგენტოში შევიდა ადგილობრივების წერილი, სადაც მირზანის მიმდებარე ადგილისთვის სტატუსის მინიჭებას ითხოვენ. მირზანში ამბობენ, რომ „**ციანის**“ ნაკრძალის ფარგლებში გაშენებული „**იორდანეს ბაღი**“ სოფელს დიდხანს ამშვენებდა. ბაღში უნიკალური ჯიშის ხე-მცენარეები რომ იყო დარგული ეს მირზანელებს დღესაც ახსოვთ. სოფლის მოსახლეობა „შირაქთან“ საუბრისას ვერ აკონკრეტებს, იმხანად ამ ადგილს ნაკრძალის სტატუსი კოლმეურნეობამ მიანიჭა, ხელისუფლებამ, თუ ეს სახალხო ინიციატივა იყო. თუმცა, მირზანში ახსოვთ, რომ ნაკრძალის ისტორია კოლმეურნეობის შექმნის პერიოდთან იწყება. მას შემდეგ, რაც სოფელ მირზანის ქვემო ნაწილში მცხოვრები ოჯახები გამარჯვებულნი გადასახლდნენ და ცხოვრებაც აირია, როგორც ბევრი სხვა რამ, ეს ტერიტორიაც გაჩანაგდა. ადგილობრივებს სურთ სტატუსის დაბრუნება და მინიმუმ ერთი რეინჯერის შტატის დაშვება, რომელიც ამ ადგილის დაცვაზე იზრუნებს. გასულ კვირას დედოფლისწყაროს მერიასა და სოფელ მირზანში უკვე მიიღეს სააგენტოს პასუხი.

„**ციანის**“ გაბრწყინებას ნიშნავს და მიზანი იყო ნიკალას სოფელი კიდევ უფრო გაბრწყინებულიყო. ეს სავარაუდოდ იქნებოდა 1955-დან 1960 წლამდე პერიოდი, რადგან მე ჯერ სტუდენტი არ ვიყავი. 1971 წლიდან მირზანში დაგბრუნდი, ფიროსმანის მუზეუმში დაინწყე მუშაობა, ამ დროს ნაკრძალს უკვე აღარ პატრონობდნენ და ასე მოუვლელი იყო. ყველანაირად ეკლესიასთან ნაკრძალის აბრა შემორჩა, მაგრამ მიტოვებული იყო. მირზანში სულ ოთხი ტაძარი გვაქვს, ყოვლადმინდა და კავთის ეკლესიები ყოფილი ნაკრძალის ცენტრში მდებარეობს. ქვემო მირზანის ტერიტორიას მოიცავდა ნაკრძალი და აქედან ხალხი სოფლის ზემოთ და სოფელ გამარჯვებაში გადასახლდნენ. იქ სარკინიგზო გზა გაიყვანეს და მოსახლეობა დედაქალაქთან უკეთესად დაამყარებდა კავთოს. გამარჯვებასა და თავწყაროსკენ მირზანელების მიწები იყო და ბევრი მათგანი იქ გადაბარდა. ქვემო მირზანის ძველი ნასახლარები კი ძირითადად ფერმებმა შეცვალა და ნაკრძალიც ასე გაჩანაგდა, განადგურდა ფლორა და ფაუნა, აღარც ნითელ ნიგნში შესატანი დაგვრჩა რამე. საბედნიეროდ, წყალი ისევ შემორჩა.



გული. ამბობდნენ აგრონომმა იორდანემ დარგაო და მის სახელს ეძახდნენ. ეს ორი ადგილი ერთმანეთისგან რამდენიმე ასეული მეტრითაა დაშორებული და ვერ გეტყვით ნაკრძალის შემადგენლობაში ორივე შედიოდა თუ არა. „იორდანეს ბაღის“ ქვემოთ, საკმაოდ ახლოს კლდიდან ჩამოდიოდა წყლის წვეთები, რომელიც დაბლა ორმოში გროვდებოდა და ახალგაზრდები იქ ვზანაობდით ხოლმე. მახსოვს, „სანუნელას“ წყალს ვეძახდით, ძალიან ცივი იყო და ხშირად ვერთობოდით. 1938 წელს მირზანში დავიბადე და აქვე ვბრუნდები, მაგრამ სხვა არაფერი მსმენია ამ ნაკრძალის შესახებ. არც ის ვიცი როგორ და ვის მიერ დაარსდა. ოთხი კლასი ამავე სოფლის სკოლაში დავამთავრე, რადგან სრული საშუალო სკოლა არ იყო, ამიტომ ზედა კლასები ზემო მარზანში ვიარე და 11 კლასი იქ დავამთავრე. 1962 წლიდან კოლმეურნეობაში ვმუშაობდი, 1962-დან 1983-მდე მირზანში ზემო მარზანს შეუერთეს. რამდენიმე წლის განმავლობაში სოფლის რწმუნებულიც ვიყავი, მაგრამ „ციანის“ შესახებ ბევრს ვერაფერს გეტყვით. უზუცესებისგანაც ბევრი არაფერი მსმენია. ნაკრძალი ნამდვილად რომ იყო ეს მახსოვს და სპეციალური აბრაც ვაკეთებ, მაგრამ ვინ მიანიჭა ეს სტატუსი ვერ გეტყვით. არც ის ვიცი, იორდანე ვინ ჩამოიყვანა და ეს პროცესი როგორ მოხდა“.

**„დასული ტერიტორიების სააგენტომ განიხილა თქვენი 2 აპრილის წერილი. გაცნობებთ, რომ ჩვენ მიერ ვერ იქნა მოპოვებული რაიმე დოკუმენტი, ადრეულ პერიოდში განცხადებაში მითითებულ ტერიტორიაზე ნაკრძალის არსებობის შესახებ. ასევე, საკითხის ადგილზე შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მიმდებარე სოფლების მოსახლეობა ტერიტორიას იყენებს საძოვრად და ფიჩხის მოპოვებისთვის. დასული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად: სახელმწიფო ნაკრძალი შეიძლება დაარსდეს ხელშეუხებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და მათზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე ბუნების, ასევე, ნაკრძალისთვის უნდა შეირჩეს ისეთი ტერიტორია, რომელიც უზრუნველყოფს ბუნების ობიექტებისა და პროცესების შენარჩუნებას ადამიანისაგან, სპეციალური მოვლისა და აღდგენის გარეშე. აქედან გამომდინარე მირზანში მითითებული ტერიტორია არ აკმაყოფილებს სტატუსის მინიჭებლად კანონით დადგენილ მოთხოვნებს.“** — ნათქვამია დასული ტერიტორიების სააგენტოს იფიციალურ წერილში, რომელსაც ხელს სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ბასილ კუსილი** აწერს.

თავდაპირველად გასული წლის 23 სექტემბრის გაზეთ „შირაქის“ ფურცლებიდან გავაუღრე ამ ნაკრძალის აღდგენის იდეა. ვფიქრობ, ეს მირზანის გამოცოცხლებას და სოფელში ტურიზმის განვითარებას ძალზე ნაადგება. მას შემდეგ მუნიციპალიტეტის მერი იყო ჩამოსული სოფელში და მას ვთხოვე ეს საკითხი პირად კონტროლზე აეყვანა და დაგეგმარებოდა ამ კარგ საქმეში. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მთხოვა წერილით შევსულიყავი მერიამ, რომელსაც სააგენტოში გადავზავინდნენ. ასეც მოვიქეცი, მოთხოვნა გავგზავნე და სამინისტრომ დაინყო საკითხის შესწავლა. ადგილზეც ჩამოვიდნენ, მაგრამ ძირეულად არ შეისწავლეს საკითხი. ისინი საპასუხო წერილში გვატყობინებენ, რომ ადგილობრივები ამ ტერიტორიას ფიჩხის საჭრელად იყენებენო. მეც ამას ვამბობ და ამიტომ მინდა სტატუსის აღდგენა, რომ დასული იყოს და არ მოხდეს ლანდშაფტის დეგრადირება. უკმაყოფილო ვარ სააგენტოს პასუხით, მათი რეაგირებით. სათანადო მუშაობა არ განუწარმა. თუ სპეციალისტები ჩამოვიდნენ და ტერიტორია ადგილზე დაათვალიერეს, ამ შემთხვევაში ხომ მეც დამიკავშირდებოდნენ და უშუალოდ იქ ავუსხნიდი ყველაფერს, მაგრამ სააგენტოდან არავინ გამომხმარებია. წერილის გავზავნის შემდეგ მხოლოდ ვაშლოვანის ნაკრძალის დირექტორმა მერაბ ფიროსმანაშვილმა დამირეკა და ამ ამბის დეტალები გამომკითხა. მასაც დოკუმენტები აინტერესებდა. თუმცა, მაშინ არჩევი არ იყო და შესაბამისად, ალბათ, რაიმე ჩანაწერი არ არსებობს. თუმცა, ბებია მყავდა 1901 წელს დაბადებული და ის ყვებოდა ხოლმე ამის შესახებ. დღესაც სოფელში თუ იკითხავთ ბევრი ადასტურებს და ისევ ახსოვს“.

**ზურაბ დათუაშვილი:** „1980-96 წლებში კოლმეურნეობაში ვმუშაობდი, მაგრამ არ მსმენია, რომ ეს ნაკრძალი კოლმეურნეობის მიერ შექმნილიყო. ეკლესიასთან ღვიის და ნითელ ნიგნში შეტანილი სხვა ხეებიც იყო. ბავშვობაში ხშირად დავდიოდი იქ, მაგრამ „იორდანეს ბაღი“ და ხეხილი ნამდვილად არ მახსოვს. ლუღვს ვჭამდით, ველური თხილი იყო, შინდი... ამ ტერიტორიაზე არც აბრა მახსოვს და არც რაიმე აკრძალვები. როგორც ვიცი, ახლა იქ გზა თითქმის არ მიდის, ტიბანის ტერიტორიიდან თუ მიუდები. ე.წ. „კონოლას წყაროს“ რესურსითაც ტიბანის ამარაგებენ... ადრე ნახევარი სოფელი ქვემო მირზანში ცხოვრობდა, შემდეგ ამოვიდნენ ზემოთ. იქ წყალიც არ იყო, გზაც რთულად მიდიოდა. წყარო იყო, მაგრამ კოკებით ზიდვა უხდებოდათ. ამიტომაც ზემოთ ამოსახლდნენ, მეც ზემოთ დავიბადე. მერე თავწყაროდან შემოიყვანეს ჩვენს სოფელში წყალი და აქედან მოსახლეობა გამარჯვებაში გადასახლდა. იქ მიწები მანამდეც ჰქონდათ და ახლაც აქვთ. საკარმიდამო ნაკვეთებიც იქით დავგვირგეს“.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რატომ არ არსებობს რაიმე სახის დოკუმენტი, ან ხელნაწერი რაც მირზანში ამ ნაკრძალის არსებობას დაადასტურებდა. თავდაპირველად საქმის ინიციატორს გავესაუბრეთ.

**დალი ზიროსანაშვილი:** „წელს ზუსტად ვეღარ ვიხსენებ, მაგრამ კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე იყო გიგა სულაშვილი. მისი მოწადინებით სოფელში ჩამოიყვანეს აგრონომი იორდანე, მისი გვარი აღარ მახსოვს, მაგრამ მან დააპროექტა ეს ბაღი, მანვე მიაკრა აბრა, რომ ეს იყო „ციანის“ ნაკრძალი. ამიტომაც ამ ბაღს „იორდანეს ბაღსაც“ ეძახდნენ, მისი სახელი სოფელში დღესაც ბევრს ახსოვს. სიტყვა

ვინაიდან მოთხოვნის ავტორი კონკრეტულ დეტალებზე ინფორმაციას არ ფლობს „შირაქმა“ გადამწყვიტა სოფლის სხვა მაცხოვრებლების აზრიც მოესმინა.

ილია მარტყოფილი

ამინდი		დედოფლისწყარო		სამხრეთ-აღმოსავლეთი		სამხრეთ-დასავლეთი		სამხრეთ-აღმოსავლეთი	
ორშაბათი 20.05	სამშაბათი 21.05	ოთხშაბათი 22.05	სუთშაბათი 23.05	პარასკევი 24.05	შაბათი 25.05	კვირა 21.05	დღე	ღამე	ღამე
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	ღამე	ღამე
☀️	☁️	☀️	☁️	☀️	☁️	☀️	☁️	☀️	☁️
18°	10°	19°	9°	20°	11°	20°	12°	21°	12°

გამომცემელი შპს „შირაქი“  
 დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**  
 რედაქტორი **ილია მარტყოფილი**

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი; ილია ხარაშვილი (ჟურნალისტიკა); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათია ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ზანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქინძიძე (საქმის მწარმოებელი).

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.  
**გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი**

წერლობა მიუხედავად ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.